ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## ევროპის უნივერსიტეტი

# ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

შედეგების ანალიზი

## 2024-2025 აკადემიური წელი

## სარჩევი

**თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები** ..... 4

**თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები** ..... 6

**თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება** ..... 7

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ..... 7

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ..... 7

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ ..... 8

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ..... 13

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით ..... 14

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით ..... 23

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ..... 23

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით ..... 23

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით ..... 39

3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ ..... 44

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. ..... 45

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება ..... 64

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია ..... 64

3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა ..... 66

3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით ..... 82

3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ ..... 84

3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ ..... 91

3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ........ 96

3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ........ 100

**თავი 4. კვლევა ........ 104**

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება ........ 104

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით ........ 105

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ........ 108

4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება ........ 111

**თავი 5. მართვის პროცესები ........ 115**

**თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება ........ 119**

**თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები ........ 184**

## თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრავს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი №6). პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით), რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით);
- პერსონალის შერჩვის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით;);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №89 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით);
- კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით);
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით);
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №309 ბრძანებით);

- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 მარტის №105 ბრძანებით);
- კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით;);
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით);
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 11 მარტის №3/2 ბრძანებით).

## თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად მიღებულ შეფასებას;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად განხორციელებულ შეფასებას;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

გ) მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება.




## თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

გ) სასწავლო პროცესის შეფასება

### 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.** 2024-2025 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსრტაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა

მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღწერილია მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებული აქტივობები, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2024-2025 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. შეფასებები არ განხორციელებულა მხოლოდ ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც 2024-2025 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი, შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და არ არსებობდა მონაცემები ანალიზისა და შეფასებებისთვის. შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშებში, რომელიც ანგარიშგებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანართი 1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

**3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, შეფასება სრულად განხორციელდა 2023-2024 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაბამისად, 2024-2025 აკადემიურ წელს არ მომხდარა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა ზემოაღნიშნული მიდგომის თანახმად. რაც შეეხება 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგებს, 2023-2024 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესი (ისევე როგორც ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული ყველა გამოკითხვის პროცესი) რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას. ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას:

https://www.surveymonkey.com/. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძვლეზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორომაცია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელებული გამოკითხვის შედეგები დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანთლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამის სასწავლო გეგმა“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი:

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი



ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი







## მედიცინის ფაკულტეტი



### სტომატოლოგიის ფაკულტეტი




### სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი




**შენიშვნა:** დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასებები არ განხორციელებულა მხოლოდ ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც 2023-2024 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი, შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და არ არსებობდა შეფასებების განხორციელების შესაძლებლობა. შეფასება ასევე არ განხორციელებულა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომლის განხორციელებაც არ იგეგმება მომავალში, არ ცხადდება მიღება და აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება.

გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის. რეაგირების

ანგარიშები ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ლოგიკური ცვლილებები.

2024-2025 აკადემიურ წელს დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განახლებაც მიმდინარეობდა და შესაბამისად, აუცილებელი და ღირებული იყო ყველა დაინტერესებული მხარის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრებების კვლევა, რჩევებისა და რეკომენდაციების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი დახვეწისა და გაძლიერების, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგების მიზნით. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეფასება განხორციელდა 4 საგანმანათლებლო პროგრამაზე. შეფასების შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანთლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამის სასწავლო გეგმა", ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი:






შეფასების შედეგების შესახებ, ასევე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების, შემოთავაზებების გათვალსიწინების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი 2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.3. ახალდშემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან, სხვა გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის, პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებისა თუ პროგრამების განვითარების შეფასების მიზნით. პროცესი რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით) შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების თუ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ან ახლადშემუშავებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითოეული განახლებული პროგრამის ან ახლადშემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს მოქმედ პროგრამაში ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის დამტკიცების მიზნით. 2024-2025 აკადემიურ წელს პროგრამების განვითარების მიზნით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლაბლო პროგრამებში. შემუშავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამებიც. ზემოაღნიშნული დასკვნა 2024-2025 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების ასევე, ახლადშემუშავებული პროგრამების შეფასებისა და დამტკიცების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს გარე შეფასების პროცესი (აკრედიტაცია) გაიარა 9 საგანმანათლებლო პროგრამამ, მათ შორის იყო როგორც რეაკრედიტაციის, ისე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული შეფასება განხორციელდა და დასკვნა მომზადდა ყველა შემთხვევაში, მოქმედ პროგრამებში შესული ცვლილებების,

ახლადშემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის და ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განვითარების შეფასების მიზნით. აღსანიშნავია ასევე გარე შეფასების შედეგები, რომლის თანახმადაც ზემოაღნიშნული 9 საგანმანათლებლო პროგრამიდან ყველამ უპირობო აკრედიაცია მიიღო სრული ვადით, რაც პროგრამების განვითარებისა და შეფასების პროცესების სწორად განხორციელების მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

**3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

*ა) სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების* მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით) მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებია ჯგუფში არსებული სტუდენტების 10%-ზე მეტის მიერ რეგულარუად უმაღლესი შეფასებების (შეფასება A) მიღება ანდა სტუდენტთა 10%-ზე მეტის ჩაჭრა. აკადემიურ მოსწრების მონაცემებზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის მონაცემების შესწავლა, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირებას და გამორიცხავს ძლიერი ან/და სუსტი ჯგუფის ფაქტორებს ან სხვა ფაქტორებით გამოწვეულ შემთხვევით შედეგებს. აკადემიური მოსწრების მონაცემები შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ასევე ანალიზის შედეგების საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენის მიზნით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები. აკადემიური მოსწრების ანალიზი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაკვირვებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები და რეაგირებების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში. რათქმაუნდა დაფიქსირდა დადებითი

შედეგებიც (სამიზნე ნიშნულების შესრულება), რომლის მიხედვითაც დაკვირვების საფუძველზე არ იკვეთება რეაგირების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევები თუნდაც ერთი წლის მონაცემების შესწავლის საფუძველეზე, რაც ასევე პროგრამის ხელმძღვანელების დაკვირვების, ანალიზისა და მიზეზების შესწავლის საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება სამი წლის მონაცემებზე, რადგან კვლავ მაქსიმალურად დასაბუთებული იყოს დასკვნები და რეაგირების საჭიროებები. დაკვირვების შედეგად იკვეთება არავალიდური მონაცემების არსებობის შემთხვევებიც, კერძოდ, ჯგუფში არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების (10 და ნაკლები სტუდენტის) არსებობა, ანდა მნიშვნელოვნად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევებში, იგივე შინაარსის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით წინა წლების მონაცემების არარსებობა, ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სამწლიანი მონაცემების არარსებობა, ამ შემთხვევებშიც რათქმაუნდა მნიშვნელოვანია დაკვირვების გაგრძელება და მოანცემების შემდგომი ანალიზი, ვალიდური დასკვნების გაკეთებისა და ცვლილებების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შეჯამება და განხორციელებული რეაგირებები შემდეგნაირად გამოიყურება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

| საგანმანათლებლო პროგრამა | რეაგრებისთვის დინამიკაში დაკვირვების საჭიროება | | ანალიზის არავალიდური შედეგების შემთხვევები | | ანალიზის საფუძველზე პროგრამის/ სასწავლო კურსის ცვლილება | | ანალიზის საფ. განხორციელებული სხვა ტიპის რეაგირებები (მაგ. შეხვედრები საკითხის სიღრმისეულად მოკვლევის მიზნით) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | |
| | I | II | I | II | I | II | I | II |
| არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | √ | √ |
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | | √ | | |
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამა | | √ | | √ | | √ | | |
| ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | √ | √ | √ |
| განათლების ადმინისტრირების | √ | √ | √ | √ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამაგისტრო პროგრამა | | | | | | | | |
| მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | √ | √ |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | | √ | √ | √ |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| მასწავლებლის მომზადების (60 ECTS) პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | √ | √ |
| საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | √ | √ | √ |
| ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| სამართლის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | √ | √ |
| ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | √ | √ | √ |

**შენიშვნა:** სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი არ განხორციელებულა საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც 2024-2025 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა

არცერთი სტუდენტი, შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და არ არსებობდა მონაცემები ანალიზისთვის.

დეტალებისთვის იხ. დანართი 4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (პროგრამის დანართი 4 - სწავლის შედეგების შეფასება) და შედეგების ვალიდურობის მიზნით (ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ პროგრამების განახლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება პროგრამების შემუშავების პერიოდების გათვალისწინებით შესაბამისი აკადემიური წლებიდან. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დანართების მიხედვით 2024-2025 აკადემიურ წელს აღნიშნული პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილი იყო და განხორციელდა 6 საგანმანათლებლო პროგრამაზე: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები. შედეგების შეფასების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, რაც მოითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამების ანდა კონკრეტული სასწავლო კურსების ცვლილებას, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელების დასკვნის საფუძველზე პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც მოხდა 2024-2025 აკადემიურ წელს, უმეტეს შემთხვევაში მიიღწევა ანდა გამონაკლის შემთხვევებში მონაცემების არსებული რაოდენობა, მათი შესწავლა და ანალიზი ვერ იძლევა საფუძლიანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას პროგრამაში ანდა სასწავლო კურსებში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შესახებ. თუმცა შეფასებების ფარგლებში არსებობს კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებების განხორციელების შემთხვევები, მაგალითად, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასებების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები თავად პროგრამის მე-4 დანართში, სადაც აღწერილია შეფასების მექანიზმი, შეფასების ინდიკატორები და რუბრიკები, განსაზღვრულია შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდები. კერძოდ, კონკრეტული ინდიკატორების მეტი

სიზუსტით შეფასების მიზნით შეფასების პროცესში გამოყენებული იყო არა მხოლოდ მითითებული პრაქტიკული დავალებები (OSPE), არამედ გამოცდების თეორიული ნაწილიც. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის მე-4 დანართში - სწავლის შედეგების შეფასება და ინდიკატორების შეფასების მეთოდად მეტი სიზუსტისთვის დაემატა კონკრეტული სასწავლო კურსების რელევანტური დავალებები, რისი გამოყენების აუცილებლობა, მნიშვნელობა და საჭიროებაც გამოიკვეთა შეფასების პროცესში. ზოგადად, უნივერსიტეტის მასშტაბით არსებობს აღნიშნული შეფასებების საფუძველზე რეაგირებისა და ცვლილებების განხორციელების არაერთი ფაქტი, კერძოდ, გასულ აკადემიურ წელს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ზემოაღნიშნული შეფასებების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც გამოიკვეთა საყურადღებო საკითხი, შემოწმებული ნაშრომების რაოდენობა არ აღემატებოდა 10-ს, ევროპის უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით კი იმისთვის, რომ შემოწმებული შედეგები იყოს ვალიდური კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე უნდა შეფასდეს შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული 10-ზე მეტი სტუდენტის ნაშრომი, მაინც გადაიხედა ყველა იმ სასწავლო კურსის მიზნები, შედეგები და თემატიკა, სადაც გამოჩნდა, რომ შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიდევით დადგენილ სამიზნე ნიშნულს. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა არის მსხვილკრედიტიანი (მაგალითად: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა არის 9 კრედიტიანი სასწავლო კურსები), შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსებზე საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები საკმაოდ მსხვილია. სხვადასხვა მექანიზმების ფარგლებში წარმოებული დაკვირვებებისა და თავად სტუდენტთა თუ ლექტორთა მოსაზრებების მიხედვით მსხვილკრედიტიანი სასწავლო კურსები არ იძლევა სათანადო შედეგებს, რადგან მიუხედავად საკმარისი მოცულობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების არსებობისა, სტუდენტებისთვის რთულია ერთ სემესტრში აითვისონ აღნიშნული კრედიტების პირობებში გათვალისწინებული მოცულობის სასწავლო მასალა. შესაბამისად, მოხდა არსებული მსხვილკრედიტიანი სასწავლო კურსების მიზნების, შედეგების, სასწავლო კურსების თემატიკის დეტალურად გადახედვა და კრედიტების, შესაბამისად სასწავლო მასალის სემესტრების მიხედვით უფრო გონივრული განაწილება, ისე რომ აღნიშნულმა ზეგავლენა არ მოახდინოს საბოლოოდ პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებზე. ასევე, გასულ აკადემიურ წლებში სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების პროცესში მონაწილე სასწავლო კურსების (2 სასწავლო კურსის) განმახორციელებელი პერსონალის მისამართით შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული შეფასების მეთოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა უკეთ მოხდეს სასწავლო კურსებით დადგენილი შედეგების მიღწევის შემოწმება. რეკომენდაციის

საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში (დეტალებისთვის იხ. დანართი 4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ).

**ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების** ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პრგორამის ხელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანაგრიშგებისა და შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ან დამსაქმებელთა დიდი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მან/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ვერ მიიღო სფეროსთვის მნიშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოუწია პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის მიღმა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი გზით შეფასება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, შეფასება სრულად განხორციელდა 2023-2024 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაბამისად, 2024-2025 აკადემიურ წელს არ მომხდარა კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა ზემოაღნიშნული მიდგომის თანახმად. რაც შეეხება 2023-2024 აკადემიური წლის შეფასების შედეგებს, 2023-2024 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არაპირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ განხორციელდა

უნივერსიტეტში მოქმედი ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სადაც არსებობდა პროგრამის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები და შესაბამისად, შესაძლებელი იყო აღნიშნული არაპირდაპირი გზით პროგრამის შინაარსობრივი და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე "როგორ შეაფასებდით ევროპის უნივერსიტეტის კურსდამათვარებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს", ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი.

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი




### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი



## მედიცინის ფაკულტეტი




## სტომატოლოგიის ფაკულტეტი




**შენიშვნა:** შეფასება არ ხორციელდება და არ განხორციელებულა იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც აკრედიტაციის ვადის გათვალისწინებით 2023-2024 აკადემიურ წელს არ ჰყავდა კურსდამთავრებული, შესაბამისად არ არსებობდა მათი დამსაქმებელი და შეუძლებელი იყო შეფასების განხორციელება: არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 ECTS), ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება, გამოკითხვის შედეგებით, შედეგების ანალიზისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშებით.

2024-2025 აკადემიურ წელს კი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ შეფასდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები და მათ ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები, რომლის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განახლებაც მიმდინარეობდა და შესაბამისად, აუცილებელი და ღირებული იყო კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებების კვლევა, რჩევებისა და რეკომენდაციების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი დახვეწისა და გაძლიერების, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგების მიზნით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც არსებობდა პროგრამის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები და შესაბამისად, შესაძლებელი იყო აღნიშნული არაპირდაპირი გზით პროგრამის შინაარსობრივი და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეფასება განხორციელდა 2 საგანმანათლებლო პროგრამაზე. შეფასების შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია, შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „როგორ შეაფასებდით ევროპის უნივერსიტეტის კურსდამათვარებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს”, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4 ქულაზე მეტი.



დეტალური ინფორმაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი შეფასების შესახებ იხ. დანართი 3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით.** საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით) თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდოლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი 20 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

## 3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით.** უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით). დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საკითხს, მათ შორის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა. ფორმა განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის

ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა და მტკიცებულებებთან ერთად წარუდგინოს აქტივობების შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ანგარიშის სახით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს, ამასთანავე ადასტურებს ქულათა მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიური პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით. აქვე აღსანიშნავია, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ევროპის

უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.

3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2024-2025 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები).

2024-2025 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2025 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი 1066-ს შეადგენდა: სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 57 აკადემიური და 103 მოწვეული პერსონალი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 27 აკადემიური და 58 მოწვეული პერსონალი; მედიცინის ფაკულტეტი - 124 აკადემიური და 510 მოწვეული პერსონალი; სტომატოლოგიის ფაკულტეტი - 19 აკადემიური და 84 მოწვეული პერსონალი; სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 18 აკადემიური და 66 მოწვეული პერსონალი:




2024 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტთან აფილირებული იყო 124 აკადემიური პერსონალი (დამატებით აღსანიშნავია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის მატება წინა წელთან შედარებით, 110-დან 124-მდე): სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 32 აფილირებული აკადემიური პერსონალი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი; მედიცინის ფაკულტეტი - 55 აფილირებული აკადემიური პერსონალი; სტომატოლოგიის ფაკულტეტი - 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი; სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 15 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

2024-2025 აკადემიურ წელს, 245 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 105-მა (43%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა:

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჯამში 18-მა (32%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 14-მა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 44%), საიდანაც 9-მ (64%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 4-მა არააფილირებულმა პერსონალმა (არააფილირებული პერსონალის 16%), საიდანაც 3-მა (75%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჯამში 12-მა (44%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 6-მა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 55%), საიდანაც 4-მა (67%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 6-მა არააფილირებულმა პერსონალმა (არააფილირებული პერსონალის 38%), საიდანაც 6-მა (100%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა.

მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 61-მა (49%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 35-მა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის

64%), საიდაც 29-მ (83%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 26-მა არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 38%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა 18-მა (69%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე ჯამში 9 (47%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 8 აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 73%), საიდაც 7-მა (88%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 1-მა არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 13%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა 1-მა (100%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 5-მა (28%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 4-მა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 27%), საიდაც 3-მა (75%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა და 1-მა არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 33%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა 1-მა (100%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა.






ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები:

| სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | მედიცინის ფაკულტეტი | სტომატოლოგიის ფაკულტეტი | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტატიები იმფაქთ-ფაქტორიან ჟურნალებში | 3 | 2 | 68 | 4 | 0 | 77 |
| სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ჟურნალებში | 7 | 10 | 24 | 17 | 2 | 60 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 25 | 21 | 69 | 3 | 4 | 122 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) | 0 | 3 | 4 | 0 | 0 | 7 |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 3 | 0 | 11 | 1 | 1 | 16 |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) | | | | | | |
| გამოგონება/პატენტი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება | 3 | 5 | 1 | 1 | 2 | 12 |
| პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 |
| Google Scholar-ის ჟურნალის რედაქტორობა | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 4 |
| Google Scholar-ის ჟურნალის რეცენზენტობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 6 |
| ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების სამაგისტრო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაშრომის რეცენზირება | | | | | | |
| საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა | 1 | 0 | 8 | 0 | 2 | 11 |

2024-2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა:




ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2024-2025 აკადემიურ წელს შეადგინა 68 000 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ თავისმხრივ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენის მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა 2024 წლის 18 - 31 ოქტომბრის პერიოდში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 115-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. შეკითხვები მიზნად ისახავდა იმ თემების გამოვლენას, რომლებზეც პერსონალი ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის რა მიმართულებით საჭიროებდნენ გადამზადებას/

მომზადებას და რა სახის ხელშეწყობის მიღებას ისურვებდნენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისგან. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაიგეგმა, კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მიმართულება (სტატიის წერა/გამოქვეყნება რეიტინგულ ჟურნალში; საპროექტო განაცხადის წერა/კვლევის დამფინანსებელი ფონდების მოძიება; სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და მენტორობა სწავლასა და კვლევაში; კვლევითი აქტივობის დაგეგმვა და კოორდინირება; სამეცნიერო ბაზების გამოყენება კვლევის პროცესში; ჟურნალების შერჩევის ტექნიკა/პუბლიკაციების გამოქვეყნებაში მხარდაჭერა; საგრანტო კვლევით პროექტებზე, ადგილობრივ კონფერენციებზე, ტრენინგებსა და ვორქშოპებზე ინფორმაციის გაზიარება; სამეცნიერო ლიტერატურასა და ბაზებზე ინფორმაციის გაზიარება და ა.შ.) და 2024-2025 აკადემიური წლისთვის დაიგეგმა შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოპები/საინფორმაციო შეხვედრები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ 2024-2025 აკადემიურ წელს შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სხვადასხვა ტიპის აქტივობა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით:

1. 2024 წლის 16 დეკემბერს ევროპის უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის (ამჟამინდელი ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი ორგანიზებით გაიმართა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია“. კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები განათლების დარგში: ასოცირებული პროფესორი იგბალე მიფთარი-ფეტიში (ბალკანეთის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჩრდილოეთ მაკედონია); ელენა ისტილეულოვა (სოკრატეს ლექციების სიმპოზიუმი, ლიუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია); პროფესორი ლელა აბდუშელიშვილი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო). კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 4 ქვეყანას: საქართველო, ლიეტუა, ლატვია, ჩრდილეოთ მაკედონია დეტალური ინფორმაცია (კონფერენციის პროგრამა, ფოტო გალერეა, აბსტრაქტების კრებული, ა.შ.) იხილეთ კონფერენციის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://iceti.eu.edu.ge/.
2. 2024 წლის აგვისტო - 2025 წლის ივლისის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან შემდეგი ინფორმაცია გაზიარდა:
   - მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მეცნიერებისა და განათლების განვითარების აქტუალური საკითხები“;
   - International Jean Monnet Conference 2024: Building Sustainable EU Society for the Future

- 2024 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო-კვლევით საგრანტო კონკურსი;
- მე-17 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: გამოწვევები და პერსპექტივები“;
- მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „SQUARE - მე-3 მისიის განხილვა უნივერსიტეტებში: ლოკალური და გლობალური“;
- V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია;
- რუსთაველის ფონდისა და მოლდოვას რესპუბლიკის კვლევისა და განვითარების ეროვნულ სააგენტოს (NARD) 2024 წლის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსი;
- XXV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტი“;
- ამერიკის ინსტიტუტების შესწავლის გაცვლითი პროგრამა მკვლევრებისათვის;
- განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა მცირე საგრანტო პროგრამა;
- შვეიცარიის მთავრობის სადოქტორო, პოსტ-სადოქტორო და კვლევითი სტიპენდიები 2025-2026;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა“;
- ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ომის და ომის შემდგომი კანონმდებლობის და პოლიტიკის აქტუალური საკითხები;
- 2024 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსი;
- მცირე გრანტების პროგრამა;
- ჩინეთის მთავრობის სტიპენდია 2025-2026;
- NCP_WIDERA.NET-ის სამოგზაურო გრანტები;
- მონაწილეთა ჩართულობის ინოვაციური ფონდის კონკურსი;
- პოლონეთის რესპუბლიკის ლეინ კირკლენდის კვლევითი პროგრამა 2025-2026 აკადემიური წლისთვის;

- ლუდოვიკას საჯარო სამსახურის უნივერსიტეტის (LUPS) Ludovika Scholars პროგრამა;
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საზაფხულო კურსები;
- კონფერენცია- Defence is the Best Attack: Immuno-Oncology Breakthroughs;
- სამეცნიერო კონფერენცია „იკვლიე ევროკავშირი საქართველოსთვის“
- Post-Doctoral Fellowship – „Competition in the Digital Era: Geopolitics and Technology in the XXI Century (CODE)“;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ETECH 2025;
- 27th Annual International Conference on Education;
- ვებინარები ჰორიზონტის იმპლიმენტაციის შესახებ;
- International Fellowships 2025;
- 2025 GIST Innovates South Caucasus;
- ათენის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებები - 2025 (ჯამში 30-ზე მეტი სამეცნიერო ღონისძიება);
- 2025 წლის თურქეთის კვლევითი სტიპენდიების პროგრამა;
- ლატვიის სახელმწიფო სტიპენდიები 2025;
- სამეცნიერო კონფერენცია - „ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები“;
- TWAS Research Grants Programme in Basic Sciences: Individuals;
- EURAXESS პორტალი;
- სემინარი „რუსეთის საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ანალიზი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში“;
- Henrik Enderlein Fellowship 2025-2026;
- საერთაშორისო კონფერენცია: Contemporary Pharmacy: Issues, Challenges and Expectations 2025;
- გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2025 წლის კონკურსი;
- EACR 2025 Congress: Innovative Cancer Science;
- EUSEA Conference 2025;

- 2025 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი;
- 2025 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი;
- საერთაშორისო კონფერენცია Green Transition in Economy: Opportunities and Challenges;
- საერთაშორისო კონფერენცია - Evidence-based practice: From Health to Social Well-being;
- სასტიპენდიო პროგრამა ჩეხეთში 2025-2026;
- კურსები: Orthopaedic, General Surgery, ENT and Obs&Gynae survival;
- აკადემიური კვლევების მეგობრები საქართველოში - საგრანტო კონკურსები;
- X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“;
- 2025-2026 წლის ფულბრაიტის Teaching Excellence and Achievement Program;
- საერთაშორისო კონკურსი „Chinguitt Prize 2025“;
- ETINED-ის შეხვედრა;
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“- ის სასტიპენდიო პროგრამის 2025 წლის საგრანტო კონკურსი;
- 2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი;
- საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა 2025-2026;
- EIT Community Opportunities;
- GERDA HENKEL Fellowship;
- Small Research Grants on Education;
- კონფერენცია - International Scholars and Leadership in Global Higher Education;
- ელსევიერის ვებინარები;
- iamtheCODE- სასწავლო კურსები;

- ლიეტუვური ენისა და კულტურის საზაფხულო კურსი;
- სლოვაკეთის მთავრობისეროვნული სასტიპენდიო პროგრამები;
- 2025 წლის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსს - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“;
- 6th International Conference on Environmental Design and Health, ICED2025;
- ჰორიზონტი ევროპას კლასტერი 2-ის საინფორმაციო დღე;
- საერთაშორისო კონფერენცია „ციფრული სამყაროს ევოლუცია და მდგრადი განვითარების მიზნები: ინდუსტრიებისა და პროფესიების ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“;
- ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2025 წლის კონკურსი;
- 15th International Research Conference on Education, Language, and Literature (IRCEELT);
- ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა მულტიდისციპლინარული მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის“;
- 2025 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მრავალსახიანი ნეირომეცნიერება - ივანე ბერიტაშვილის 140 წელი“;
- XXIV International Congress on Public and Nonprofit Marketing;
- GIU-ს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2025;
- საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2025“;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და გლობალიზაცია“;
- მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი;
- MSCA Postdoctoral Fellowships;
- კონფერენცია „განათლება - კეთილდღეობის კატალიზატორი“;
- რუსთაველის ფონდისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი სტაჟირების საგრანტო კონკურსი;
- საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული მულტიდისციპლინარული კონფერენცია SEU ISMC 2025;

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „The Black Sea Region at the Crossroads of Civilizations - IV“;
- 9th Annual Symposium of Applied Research (SOAR);
- ტრენინგი თემაზე - Advanced AI Tools Training for Research Managers;
- EIC პრე-აქსელერატორი EIC აქსელერატორი საინფორმაციო შეხვედრა;
- მულტიდისციპლინური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: მდგრადი განვითარება, ინსტიტუტები და გლობალური გამოწვევები (SDIGC-25);
- პროფესიული პრაქტიკის პროგრამა;
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2025 წლის საგრანტო კონკურსი;
- 2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი;

3. 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებული ზემოაღნიშნული საჭიროებების კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი უნარების გაძლიერებისთვის საჭირო ტრენინგების/ვორქშოპების თემატიკა და ჩატარდა შემდეგი ტრენინგები/ვორქშოპები/საინფორმაციო შეხვედრები:

- 2025 წლის 27 იანვარს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „კვლევითი აქტივობის დაგეგმვა და კოორდინირება“, რომელსაც გაუძღვა ნინო მაჩურიშვილი - ევროპის უნივერსიტეტის ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატის უფროსი, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის კვლევების განვითარების კოორდინატორი. ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და კოორდინაციის პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ. ტრენინგის ხანგრძლივობა - 3 საათი. სამუშაო ენა - ქართული.
- 2025 წლის 21-24 თებერვალს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „სამეცნიერო ბაზების გამოყენება სასწავლო და კვლევის პროცესში“, რომელსაც გაუძღვა შპს ინოვაციური საგანმანათლებლო კავშირების პროექტის მენეჯერი, მაია მეტრეველი. ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში ელექტრონული სამეცნიერო რესურსების გამოყენების შესახებ,

მათ შორის სამეცნიერო ნაშრომებისა და ჟურნალების გამოქვეყნებისა და რეფერირებისთვის. მონაწილეები ასევე გაეცნენ კვლევისა და სწავლების პროცესში დამხმარე პროგრამებს. ვორქშოპის ხანგრძლივობა - 9 საათი. სამუშაო ენა - ქართული.

- 2025 წლის 25 მარტს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთის ჩატარდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე „სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და მენტორობა სწავლასა და კვლევაში“. ვორქშოპს უძღვებოდა ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის, სავეტერინარო მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებათა ინსტიტუტის, ვეტერინარული ბიომედიცინისა და საკვების ჰიგიენის კათედრის უფროსი, ლექტორი კრისტი პრააკლე. ვორქშოპის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმ აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს მათ გახდნენ წარმატებული მენტორები სტუდენტებისთვის. ვორქშოპის ხანგრძლივობა 2 საათი. სამუშაო ენა - ინგლისური.
- 2025 წლის 11 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გაიმართა ონლაინ ვორქშოპი თემაზე „როგორ მოვამზადოთ წარმატებული საპროექტო განაცხადი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებისთვის“. ვორქშოპს უძღვებოდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი მირანდა თედეშვილი. ვორქშოპის მიზანი იყო ფონდის მოთხოვნების, განაცხადის სტრუქტურისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა, ასევე ეფექტური პროექტის დაგეგმვისა და წარდგენის სტრატეგიების გაზიარება. მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები პროექტის მიზნების, მეთოდოლოგიის, ბიუჯეტისა და გეგმა-გრაფიკის შედგენის შესახებ. ვორქშოპის ხანგრძლივობა 3 საააათი. სამუშაო ენა - ქართული.
- 2025 წლის 15-17 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „საპროექტო განაცხადის წერა/ფონდების მოძიების სპეციფიკა“. ტრენინგს გაუძღვა ქეთი ცინცაძე - ექსპერტი, კონსულტანტი უწყვეტი განათლების, ზრდასრულთა განათლების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, პროფესიული და უწყვეტი განათლების სასწავლო კურსების განვითარების მიმართულებით; ტრენერ - კონსულტანტი, ტრენინგ-კურსების ავტორი (ToT, საპროექტო განაცხადის წერა, დროის მართვა, ა.შ.). ტრენინგის მიზანი იყო, მონაწილეებისთვის გაეცნო საპროექტო განაცხადის წერის ძირითადი პრინციპები, შემოქმედებითი მიდგომები და მიეცა პრაქტიკული ცოდნა და უნარები, რომლებიც საჭიროა იდეის ეფექტიან საპროექტო განაცხადად ქცევისათვის. ტრენინგის ხანგრძლივობა - 9 საათი. სამუშაო ენა - ქართული.
- 2025 წლის 20 მაისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „სტატიის წერა/გამოქვეყნება რეიტინგულ

ჟურნალში“. ტრენინგს გაუძღვა მაგული ღამბაშიძე - ევროპის და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის ტრენერი. ტრენინგის მიზანი იყო აკადემიური წერის თანამედროვე სტანდარტების, სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის შექმნის, აკადემიური სტილის, სანდო სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და გამოყენების, თანამედროვე კვლევის მექანიზმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ ცოდნისა და უნარების გაძლიერება. ტრენინგის განმავლობაში მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების შესახებ და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების შესახებ აღნიშნული ტიპის გამოცემებში. ტრენინგის ხანგრძლივობა - 3 საათი. სამუშაო ენა - ქართული.

- 2025 წლის 7 აპრილს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გაიმართ სამუშაო შეხვედრა თემაზე ,,მკვლევრის ბრენდის ფორმირების სტრატეგიები’’. შეხვედრაზე პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია იმ ონლაინ ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების შესახებ, რომელიც ხელს უწყობს მათ პოზიციონირებას და კვლევის შედეგების გაზიარებას.
- 2025 წლის 14 ივლისს ჰორიზონტი ევროპა საქართველოს ეროვნული ოფისის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. ვიზიტი მიზნად ისახავდა ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის პროგრამის ფარგლებში არსებული საგრანტო შესაძლებლობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრის მიმდინარეობისას „ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნულმა საკონტაქტო პირებმა მონაწილეებს დეტალურად გააცნეს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი საგრანტო შესაძლებლობები, მონაწილეობის პირობები და განაცხადის წარდგენის პროცედურები.

4. ევროპის უნივერსიტეტმა 2025 წელს Turnitin-ის არსებულ პაკეტს დაუმატა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი ტექსტების ამომცნობი ფუნქციონალი, რის საპასუხოდაც 2025 წლის 14 აპრილს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ონლაინ ტრენინგი თემაზე „Moodle Direct, Plagiarism Plug in, AI detector’’ ჩატარდა. ტრენინგის მთავარი თემა ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი ტექსტების ამოცნობა და Turnitin-ის გენერირებული ანგარიშების სწორად ინტერპრეტაცია იყო. სესიას გაუძღვა Turnitin-ის საერთაშორისო კონსულტანტი – ჯერონ ვანდერბისენი, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა პლატფორმის ფუნქციონალი, AI-დეტექციის მექანიზმები და რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით აჩვენა ანგარიშის წაკითხვისა და ანალიზის პროცესი.

5. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის: https://www.turnitin.com/ გამოყენების საკითხებზე.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი 18 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღნისძიებების შესახებ ანგარიშები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღინისძიებების შესახებ.

**3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით.** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პერსონალის შეფასების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები, ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აფასებენ სასწვლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს (ზემოაღწერილი პროცედურის შესაბამისად) და პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს. პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლო აქტივობებს, თითოეულ აქტივობას განესაზღვრება შესაბამისი ქულა, აქტივობის მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებელია პერსონალის მიერ ისეთი აქტივობის მითითებაც, რომელიც არ არის განსაზღვრული ანგარიშის ფორმით. ასეთი აქტივობის ქულა განისაზღვრება კომისიური წესით. ანგარიშებს აკადემიური და მოწვეული

პერსონალისგან გამოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის ინიცირებით და რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ კი ხდება პერსონალისგან მიღებული ანგარიშების გაანალიზება და საბოლოო შედეგების განსაზღვრა. ხდება შეფასების შედეგების გათვალისწინება პერსონალის წლიური რეიტინგის დადგენაში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და აკადემიური საქმიანობა შეფასდა 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგები მეტწილად დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:






აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დეკანების მიერ წარმოდგენილია 2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები (მაგ. კომუნიკაცია ლექტორებთან, ინდივიდუალური შეხვედრები, ლექტორთან კომუნიკაციით სასწავლო კურსის პრაქტიკული მაგალითებით, ამოცანებითა და ქეისებით გამდიდრება, სილაბუსის გადახედვა, სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, კომუნიკაცია სტუდენტებთან, სააუდიტორო საქმიანობის შეფასება - ლექციაზე დასწრება, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ორგანიზებულ შესაბამის ტრენინგ-მოდულებზე დასწრების შეთავაზება და ა.შ.), ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

2. აკადემიური და მოწვევეული პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (აკადემიური პერსონალი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი; მოწვეული პერსონალი: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 17 აკადემიური პერსონალი და 13 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 5 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი; სტომატოლოგიის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის

საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი. სულ დაჯილდოვდა ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 30 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.




2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 25 900 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინა 4 700 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 1 700 ლარი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინდა 4 700 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 1 700 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხა განისაზღვრა 6 700 ლარით: აკადემიური პერსონალი - 4 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 700 ლარი; სტომატოლოგიის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხა განისაზღვრა ასევე 5 100 ლარით: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინა 4 700 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 1 700 ლარი.

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY




**შენიშვნა:** როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია. რეიტინგში მაღალი შეფასების მქონე პერსონალის რაოდენობასთან შედარებით ნაკლები და ამასთანავე, წესით განსაზღვრულისგან ნაკლები რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება განაპირობა სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა, ხოლო წესით განსაზღვრულისგან მეტი რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება კი განაპირობა იმან, რომ უმაღლესი შეფასება (5 ქულა) ფაკულტეტზე დაიმსახურა ერთზე მეტმა აკადემიურმა ან/და მოწვეულმა პერსონალმა.

2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგებისა და რეიტინგის შესახებ ინფორმაციის პერსონალისთვის გაცნობა და შესაბამისი სერტიფიკატების გადაცემა მოხდა აღნიშნული მიზნით ორგანიზებულ შეხვედრაზე: https://eu.edu.ge/evropis-universitetshi-akademiuri-da/, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგები ევროპის უნივერსიტეტის მიერ განთავსდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია: სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/fakultetebi/samartlis-humanitarul-da-socialur-mecnerebata-fakulteti/wliuri-reitingi/; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/fakultetebi/biznesisa-da-teqnologiebis-fakulteti/wliuri-reitingi/; მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/fakultetebi/medicinis-fakulteti/wliuri-reitingi/; სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/fakultetebi/stomatologiis-fakulteti/wliuri-reitingi/; სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/fakultetebi/saveterinaro-medicinis-

fakulteti/wliouri-reitingi/. ინფორმაციის საჯაროობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეფასების შედეგები.

**3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ.** 2020-2021 აკადემიური წლიდან ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს დაემატა სტუდენტთა გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასების მიზნით. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია შეფასედეს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელთან მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების შესრულება, ნაშრომის სილაბუსის, მიზნების, სწავლის შედეგების, ნაშრომის შეფასების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ნაშრომის შესრულების დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების პროცესში, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში დახმარება, ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალების მოძიების გზების შესახებ მიმართულებების მიცემა, სამეცნიერო ელქტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისა და მათი საშუალებით მასალების მოძიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესრულებული სამუშაოს შესახებ რეგულარული უკუკავშირის მიწოდება, ხელმძღვანელისგან მიღებული კონსულტაციების, განმარტებების, მიმართულებების, დავალებების, შესრულებულ დავალებებზე მიღებული შენიშვნების, განმარტებების, უკუკავშირის მნიშვნელობა ნაშრომის შესრულებისა და დახვეწის პროცესში, ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების, წყაროს მითითების, პლაგიატის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. სტუდენტი ამასთანავე აფასებს ხელმძღვანელთან მუშაობით ზოგად კმაყოფილებას და აქვს შესაძლებლობა გამოთქვას დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. 2024-2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში აღნიშნულ შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისად შეფასდნენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები.

შეფასების შედეგები დადებითია, შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ ხელმძღვანელით? გთხოვთ, შეაფასოთ ნაშრომის ხელმძღვანელი ზოგადად“ სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან 5 ქულაა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის

სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.6 ქულა:




მოხდა მიღებული შეფასების შედეგების გაანალიზება და შესაბამისი ფაკულტეტების თანამშრომლებისთვის გაზიარება შედეგების გაცნობისა და რეაგირების მიზნით. გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელდა გარკვეული რეაგირებები, რომლის შესახებ ინფორმაციაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა დეკანის მიერ რეაგირების ანგარიშის სახით (დეტალებისთვის იხ. დანართი 6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში).

**3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება საauდიტორო საქმიანობის შეფასების გზით.** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასების პროცესი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა

და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სჭირეობის შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშროლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც. სულ განხორციელდა 97 სააუდიტორო მუშაობის შეფასება. მათგან რვა შემთხვევაში დასწრება განპირობებული იყო სტუდენტების შეფასებების საფუძველზე, ყველა სხვა შემთხვევაში შეფასება განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების მიზეზით. 2024-2025 აკადემიური წლის შეფასებების შედეგად დასწრების საფუძველზე გამოიკვეთა განმეორებით დასწრების საჭიროება რამდენიმე პერსონალთან: მედიცინის ფაკულტეტზე 4 შემთხვევა, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე 3 შემთხვევა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 3 შემთხვევა, დანარჩენ ორ ფაკულტეტებზე განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კი განმეორებით დასწრების საჭიროება არ გამოვლენილა. სააუდიტორო მუშაობის შეფასებების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით, დასწრების მიზეზებისა და დამდგარი შედეგების გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:









სააუდიტორო მუშაობის შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და ამ მხრივაც პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. 2024-2025 აკადემიურ წელს აღნიშნული მიმართულებით შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა გასულ წლებში განხორცელებული შეფასების პროცესში, უნივერსიტეტის მასშტაბით დაფიქსირებულია საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებისა და გაზიარების შემთხვევები, მაგალითად, სააუდიტორო საქმიანობის შეფასების შედეგად 2023-2024 აკადემიურ წელს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ჩატარებულია პერსონალთან შეხვედრა „სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სამართლის სწავლების მაგალითზე“.

სააუდიტორო მუშაობის შეფასებებისა და რეაგირებების პროცესში აქტიურადაა ჩართული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში

გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის, გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის. 2024-2025 აკადემიური წლის შეფასებების საფუძველზე განხორციელდა პერსონალისთვის ტრენინგ-მოდულების „სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, „შეფასების თანამადროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება“, „სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა“, „სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში“, და ა.შ. შეთავაზება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ, პერსონალმა ხშირ შემთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით (დეტალებისთვის იხ. დანართი 7 - სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები).

ზოგადად ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლების, შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. პერსონალისთვის აღნიშნული ტრენინგ-მოდულების რეგულარული შეთავაზება მიმდინარეობს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა კვლევებისა თუ შეფასებების საფუძველზე, ისე თავად ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული ცენტრის მიერ 2024-2025 აკადემიურ წელს რეგულარულად მიმდინარეობდა 15 სხვადასხვა ტრენინგ-მოდულის შეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, კერძოდ:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

2. შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა;

მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება.

3. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

4. დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს, პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული ელ-პლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.

5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები - ტრენინგ-მოდული ორიენტირებულია პლაგიატის ამომცნობი პროგრამის: https://www.turnitin.com/ ეფექტიან გამოყენებაზე სწავლებისა და შეფასების პროცესში.

6. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია დამსწრეები გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის ინსტურმენტებსა და მათი სწავლება-სწავლაში გამოყენების მექანიზმებს. ტრენინგზე განსახილველი საკითხებია: ხელოვნური ინტელექტის რაობა, ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, Chat-ზე დაფუძნებული AI ინსტრუმენტები და მათი გამოყენება, ხელოვნურ ინტელეტზე დაფუძნებული სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება.

7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება - ტრენინგ-მოდულის მიზანია გააძლიეროს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სწავლების ისეთი სტრტაეგიებისა და მიდგომების გამოყენება, რომლებიც სტუდენტებს განუვითარებს ანალიტიკურ, შემოქმედებით, კრიტიკულ აზროვნებას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს. ტრენინგზე განსახილველი საკითხებია: ქეისებითა და დილემებით სწავლების მნიშვნელობა,

ქეისების სახეები, ქეისების ძირითადი კომპონენტები, ქეისებსა და დილემებზე მუშაობის ეტაპები, კარგი ქეისის მახასიათებლები და გამოყენების ეფექტურობა, ქეისებით სწავლებისას წარმოქმნილი რისკები და მართვის გზები, ქეისისა და დილემის მაგალითები.

8. ემოციური ინტელექტი სწავლებისას - ტრენინგი ემსახურება პედაგოგთა ცნობიერებისა და პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის, მისი განვითარების მეთოდებისა და სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტურად ინტეგრირების გზების შესახებ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას, მოტივაციასა და ემოციურ კეთილდღეობას.

9. თამაშზე დაფუძნებული სწავლება - ტრენინგის მონაწილეები განივითარებენ ცოდნასა და უნარებს თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენებაში, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გააქტიურებას, მოტივაციის გაზრდას და სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. მსმენელები ეცნობიან თამაშზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებსა და მათ პედაგოგიურ დანიშნულებას, სწავლობენ როგორ აირჩიონ ან შექმნან სასწავლო მიზნებზე მორგებული თამაშები, უზრუნველყონ აქტიური ჩართულობა და ცოდნის ტრანსფერი, როგორ წაახალისონ შემოქმედებითობა და კრიტიკული აზროვნება. მიღებული გამოცდილება მათ საშუალებას მისცემს საკუთარი საგნობრივი და სასწავლო პრაქტიკა გაამდიდრონ ინტერაქტიული, კოგნიტურ და სააზროვნო უნარებზე ორიენტირებული აქტივობებით, რაც დადებითად აისახება როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე მოსწავლეთა ჩართულობასა და აკადემიურ შედეგებზე.

10. მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები - ტრენინგის მიზანია მონაწილეთა მედიაწიგნიერების ცოდნის გაღრმავება და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება, რაც ეხმარებათ მათ სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციის სანდოობის შეფასებასა და სწორი ინფორმაციის გავრცელებაში. მონაწილეები ეცნობიან მედიის გავლენის მექანიზმებს, ყალბი და სანდო წყაროების გარჩევას, ციფრული ჰიგიენის დაცვის მეთოდებს და ინფორმაციის დეკოდირების პრაქტიკულ გზებს. მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს როგორც სასწავლო რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე სტუდენტების ინფორმაციული და მედია-კულტურის გაძლიერებას.

11. ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში - ტრენინგი მიზნად ისახავს მონაწილეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებასა და თანამედროვე ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობას სწავლა-სწავლების პროცესში. ტრენინგის მონაწილეები ეცნობიან სხვადასხვა ვებ-პლატფორმასა და პროგრამას, შეუძლიათ ინტერაქტიული, ვიზუალურად მიმზიდველი და საგანმანათლებლო მიზნებზე მორგებული რესურსების შექმნა, რაც აძლიერებს სასწავლო პროცესის

მრავალფეროვნებას, ზრდის სტუდენტების ჩართულობას და აუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

12. სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში - ტრენინგი ემსახურება პედაგოგთა ინფორმირებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებაში, რათა სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს უფრო ეფექტური, საინტერესო და სტუდენტზე ორიენტირებული. მონაწილეები გაეცნობიან ჯგუფური მუშაობის, როლური თამაშებისა და ქეისებზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობებსა და გამოყენების გზებს, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტთა ჩართულობის ზრდას საუნივერსიტეტო გარემოში.

13. შრომის სამართლის აქტუალური საკითხები - ტრენინგის მიზანია მონაწილეთა ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერება შრომითი სამართლის აქტუალურ საკითხებში, რომ პედაგოგებმა შეძლონ სწავლა-სწავლების პროცესის შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოებზე დაყრდნობით ეფექტურად განხორციელება, დაიცვან დასაქმებულთა უფლებები და მართონ ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესები სამართლებრივად სწორად.

14. ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი - სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის საკითხების განხილვას. შეხვედრის ფარგლებში განიხილება ხელოვნური ინტელექტის საოპერაციო პრინციპები, ევროკავშირის რეგულაციები (განსაკუთრებით AI Act), ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური ასპექტები. შეხვედრის მონაწილეები ეცნობიან სხვადასხვა AI პლატფორმას და მათი გამოყენების პრაქტიკულ სტრატეგიებს სხვადასხვა დისციპლინაში. დემონსტრაციების მეშვეობით, პედაგოგები ეცნობიან, როგორ შეიძლება AI-ის გამოყენება სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად, ინდივიდუალიზებული სასწავლო გამოცდილების შესაქმნელად და შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, შეხვედრის მიზანია მონაწილეებს მისცეს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში პასუხისმგებლობით გამოყენების მიმართულებით.

15. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში - სამუშაო შეხვედრის მიზანია მონაწილეებს გააცნოს, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ინტერაქციისა და სტუდენტთა ჩართულობის გასაძლიერებლად. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები ეცნობიან: AI-ის პლატფორმებს: ChatGPT, Claude, Perplexity, Deepseek; ინტერაქტიულ ციფრულ ხელსაწყოებს: Socrative,

Quizizz, Canva Magic Write და Prezi. ტრენინგის მონაწილეები სწავლობენ: ინტერაქციული ქვიზების შექმნას; სადისკუსიო კითხვების ფორმულირებას AI-ის დახმარებით; სალექციო დავალებების მომზადებას; ინტერაქციული პრეზენტაციების შექმნას; სასემინარო აქტივობების შექმნას. ვორქშოფის დასწრების შედეგად მონაწილეები ეუფლებიან კონკრეტულ სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც ხელს შეუწყობს AI ტექნოლოგიების ეფექტიან ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებულ, კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაყრდნობილ სასწავლო გამოცდილებას.

ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართულებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. როგორც უკვე აღინიშნა, შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების შეფასებისა და ამასთანავე პერსონალის საჭიროებების კვლევის მიზნით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ატარებს პერსონალის ყოველწლიურ გამოკითხვას. კვლევა ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის შეფასების, განვლილი ტრენინგების შეფასებისა და მათ შესახებ რეკომენდაციის, ასევე ტრენინგ-მოდულების ახალი თემატიკის შემოთავაზების საშუალებას იძლევა. გამოკითხვა ჩატარდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 113-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მათგან 101 (89%) ესწრებოდა ცენტრის მიერ გასულ აკადემიურ წელს ჩატარებულ ტრენინგ-მოდულებს, შესაბამისად, მათი შეფასება განსაკუთრებით ღირებული იყო არსებული ტრენინგ-მოდულების მოდიფიცირებისა თუ კვლავ შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის შედეგების მიხედვით პერსონალი დადებითად აფასებს შეთავაზებულ ზემოაღნიშნულ 15 ტრენინგ-მოდულს და მათი შეთავაზების საჭიროებას:






2024-2025 აკადემიურ წლის კვლევის შედეგად დადებითადაა შეფასებული დასახელებული ტრენინგ-მოდულების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის შეთავაზების საჭიროებაც. ამდენად, პასუხების მიხედვით პერსონალის შესაბამისი ნაწილი მომავალშიც ისურვებდა წარმოდგენილ ტრენინგ-მოდულებზე დასწრებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებები (რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები) მოდულების საჭიროებების შესახებ შემდეგნაირად ნაწილდება:






შესაბამისად, პერსონალის საჭიროებების კვლევის ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, ტრენინგ-ცენტრი კვლავ აგრძელებს დასახელებული ტრენინგ-მოდულების რეგულარულ შეთავაზებას ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ სახელდება მათთვის საინტერესო თემატიკა, რისი გათვალისწინებითაც ისურვებდნენ ტრენინგ-ცენტრის მიერ ახალი ტრენინგ-მოდულების შემუშავებასა და მომავალში შეთავაზებას, მათი სწავლების კომპეტენციების კიდევ უფრო მეტად გაძლიერების მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრენინგინ-მოდული სახელწოდებით „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“ 2020-2021 აკადემიურ წელს შემუშავდა სწორედ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ხოლო ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ტრენინგ-მოდული სახელოწდებით შეფასების თანამედროვე მეთოდები, მედიცინის ფაკულტეტის შესაბამის პერსონალს მიეწოდება მოდიფიცირებული ფორმატით სააუდიტორო სივრცეში, სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკულ კომპონენტზე.

2021-2022 აკადემიურ წელს არსებულ ტრენინგ-მოდულს „დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დაემატა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ თემა, სადაც, ყურდღება მახვილდება ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების საკითხებზე. ამდენად, 2021-2022 აკადემიურ წელს მნიშვნელოვნად განახლდა ტრენინგ-მოდული სახელწოდებით „დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში“.

2022-2023 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად პერსონალის მიერ დაფიქსირდა სურვილი ტრენინგ-ცენტრის მიერ სწავლებისა და შეფასების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ახალი ტრენინგ-მოდულის შემუშვებასა და

შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, შემუშავდა და 2023-2024 აკადემიური წლიდან აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული ტრენინგ-მოდულის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში" პერსონალისთვის შეთავაზება.

2023-2024 აკადემიურ წელს ასევე მოხდა შემდეგი ახალი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის: „განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები" და „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება".

აღსანიშნავია ასევე, რომ ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის საჭიროებების 2023-2024 აკადემიური წლის კვლევის შედეგების ანალიზის და სწავლა-სწავლების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების საფუძველზე სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი 2024-2025 აკადემიური წლიდან პერსონალს სთავაზობს შემდეგ ახალ ტრენინგ-მოდულებს: „ონლაინ-ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში", „მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის გამოწვევები და შესაძლებლობები", „თამაშზე დაფუძნებული სწავლება", „ემოციური ინტელექტი სწავლებისას", „სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში", „შრომის სამართლის აქტუალური საკითხები".

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს პერსონალს განახლებული სახით ჩაუტარდა ტრენინგ-მოდულები – „შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში" და „სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა". ხაზგასასმელია ისიც, რომ 2024-2025 აკადემიური წლის საჭიროებების კვლევის საფუძველზე ტრენინგ-მოდულების „სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში", „შრომის სამართლის აქტუალური საკითხები", „შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში" შემუშავება-განახლების დროს პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად გათვალისწინებული იყო პერსონალის სპეციალიზებული საგანმანათლებლო მიმართულება, რის შედეგადაც ტრენინგები ფოკუსირდა კონკრეტულ ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ზემოაღნიშნულ გამოკითხვაში 2024-2025 აკადემიურ წელს პერსონალის მიერ დაფიქსირდა უფრო მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგების ჩატარების სურვილი, რის საპასუხოდაც სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრმა ჩაატარა ორი სამუშაო შეხვედრა „ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი" და „ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში". აღსანიშნავია, რომ სამუშაო შეხვედრები ჩატარდა სააუდიტორიო ფორმატშიც ამავე კვლევაში დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად.

2024-2025 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრმა ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარა 52 ტრენინგი და 3

სამუშაო შეხვედრა. მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით პერსონალისთვის შეთავაზებულ ტრენინგებსა და სამუშაო შევხდრებზე დასწრების ჯამური რაოდენობაა 1170. გასათვალისწინებელია, რომ დამსწრე პერსონალი მეორდება კონკრეტულ ტრენინგ-მოდულებზე. ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2024-2025 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში გადამზადდა სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალუ მეცნიერებათა 96 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკუტეტის - 111 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტის - 789 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის - 237 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის - 79 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი კვლავ მეორდება, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში ტრენინგ-მოდულების მიხედვით პერსონალის გადამზადება ევროპის უნივერსიტეტში მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება:






| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 154 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 83 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 62 |
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 53 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 33 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 45 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 45 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 34 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 428 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 64 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 50 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 50 |
| შრომის სამართლის აქტუალური საკითხები | 8 |

| | |
|---|---|
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 46 |
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 15 |

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტებისა და ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განაწილება ტრენინგ-მოდულების მიხედვით:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 19 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 8 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 6 |
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 3 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 4 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 4 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 5 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 3 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 11 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 4 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 4 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 9 |
| შრომის სამართლის აქტუალური საკითხები | 6 |
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 9 |

| | |
|---|---|
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 1 |

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 21 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 14 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 6 |
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 9 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 5 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 5 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 7 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 3 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 9 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 8 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 2 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 6 |
| შრომის სამართლის აქტუალური საკითხები | 2 |
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 11 |
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 3 |

მედიცინის ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 95 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 45 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 36 |
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 34 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 19 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 29 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 26 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 24 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 352 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 40 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 33 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 31 |
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 20 |
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 5 |

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 33 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 21 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 21 |

| | |
|---|---|
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 19 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 5 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 9 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 11 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 11 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 47 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 19 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 13 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 14 |
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 11 |
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 3 |

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები | 11 |
| დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში | 5 |
| ემოციური ინტელექტი სწავლებისას | 8 |
| თამაშზე დაფუძნებული სწავლება | 5 |
| მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები | 3 |
| ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 4 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება | 3 |

| | |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 3 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 9 |
| სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში | 6 |
| შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში | 8 |
| ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში | 1 |
| ციფრული ტრანსფორმაცია საკლასო ოთახში: მასწავლებელი და ხელოვნური ინტელექტი | 6 |
| ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თანამედროვე საგანმანათლებო სივრცეში | 7 |

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ევროპის უნივერსიტეტის პერსონალი დადებითად აფასებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ-მოდულებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების კუთხითაც. შესაბამისად, დადებითია შეფასების შედეგები 2024-2025 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული ზემოაღნიშნული ტრენინგ-მოდულების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ. აღნიშნული შეფასების შედეგები (რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები) თითოეული ტრენინგ-მოდულის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა (შეფასების პროცესში შესაძლებელი იყო რამდენიმე ტრენინგ-მოდულის მონიშვნა):






დადებითი შეფასებები გამოიხატა შემდეგი მიმართულებებით: სასწავლო პროცესის უკეთ მართვა, უფრო ეფექტური და სტუდენტზე მეტად ორიენტირებული სწავლება, სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების, განსხვავებული უნარების მეტად გათვალისწინება არჩევითი დავალებების შეთავაზების გზით, მათი მეტად ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ხელოვნული ინტელექტის ინსტრუმენტების უფრო აქტიური და ეფექტური გამოყენება სასწავლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების და ქეისების მეტად გამოყენება სასწავლო პროცესში, ელექტრონული პლატფორმების მეტად გამოყენება სასწავლო პროცესში, როლური დიალოგების, წყვილში მუშაობისა თუ სხვა ისეთი მეთოდების მეტად გამოყენება, რაც სტუდენტთა კომუნიკაციის, დამოუკიდებელი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარების მეტად ხელშეწყობაზეა ორიენტირებული, შეფასების უფრო მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება და ზოგადად სასწავლო პროცესის მეტად საინტერესოდ წარმართვა, და ა.შ. აღნიშნული გამოხატავს და ხაზს უსვამს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების მნიშვნელობასა და ღირებულებას პერსონალის პროფესიული განვითარების, მათი სწავლების უნარების გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი 18 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღნისძიებების შესახებ ანგარიშები, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

### 3.3. სასწავლო პროცესის შეფასება

სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით:

**3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდოლოგია.** უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით). მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პეროსონალი, მეთოდოლოგიით დადგენილი ნიშნულების მიხედვით), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (ობიექტების/კლინიკების რაოდენობის და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტუდენტთა ერთდროულად მისაღები მაქსიმალური რაოდენობების გათვალისწინებით), შესაბამისი საგანმნათლებლო პროგრამის (დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების) შემთხვევაში ფასდება ასევე ლაბორატორიების გამტარუნარიანობა (ლაბორატორიების რაოდენობების, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით), დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კი ფასდება ასევე სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა (ცენტრში არსებული სიმულაციური ოთახების რაოდენობის, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით). მეთოდოლოგიით განსაზღვრული მოთხოვნების, დადგენილი სამიზნე ნიშნულების და თითოეული რესურსის შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა აღწერილი ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შეძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორიცაა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა) მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო

სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, გარე მობილობით მისაღები სტუდენტებისთვის ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, რათა მოხდეს უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით). პროცედურა ითვალსწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნული შემთხვევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ევროპის უნივერსიტეტში განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდლოგიით განსაზღული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2022-2023 აკადემიურ წელს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებები, რაც უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნაროანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას,

პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (5 330 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდლოგიის მიხედვით. შესაბამისად, დადასტურებულია სათანადო რესურსებისა და არსებული რესურსებით სტუდენტთა სათანადოდ მომსახურების შესაძლებლობის არსებობა ზემოაღნიშნული განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიური წლის მიმდინარეობისას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობების გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის კონტროლს (დეტალებისთვის იხ. დანართი 21 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები).

**3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.** სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. გამოკითხვის პროცესები, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/.

ზემოაღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც.

2024-2025 აკადემიურ წელს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გამოკითხულ სტუდენტთა საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება, უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება საერთო ჯამში შეფასდა დადებითად:

### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტით ზოგად კმაყოფილებას", სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.1 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 41% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 36% - 4 ქულით, 18% - 3 ქულით, ხოლო 5% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 5% | 18% | 36% | 41% | 4.1 ქულა |

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტით ზოგად კმაყოფილებას", ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.0 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ

სტუდენტთა 32% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 43% - 4 ქულით, 20% - 3 ქულით, ხოლო 5% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 5% | 20% | 43% | 32% | 4.0 ქულა |

## მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტით ზოგად კმაყოფილებას“, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 14% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 35% - 4 ქულით, 34% - 3 ქულით, 12% - 2 ქულით, ხოლო 5% - 1 ქულით:



| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება | 5% | 12% | 34% | 35% | 14% | 3.4 ქულა |

## სტომატოლოგიის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტით ზოგად კმაყოფილებას“, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 32% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 17% - 4 ქულით, 35% - 3 ქულით, 13% - 2 ქულით, ხოლო 3% (2 რესპონდენტი) - 1 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება | 3% | 13% | 35% | 17% | 32% | 3.6 ქულა |

## სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტით ზოგად კმაყოფილებას“, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 10% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 53% - 4 ქულით, 16% - 3 ქულით, ხოლო 21% - 2 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 21% | 16% | 53% | 10% | 3.5 ქულა |

სტუდენტთა კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული სტუდენტების ნაწილმა.

2024-2025 აკადემიურ წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება პერსოანლის განვითარების ხელშეწყობის მხრივ და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოკითხული პერსონალის კმაყოფილება:

### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.7 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 85% აფასებს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვას უმაღლესი 5 ქულით, 11% - 4 ქულით, ხოლო 4% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით. „უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.7 ქულა.

შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 73% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 12% - 4 ქულით, 4% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 11% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჯირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე | 4% | 0% | 0% | 11% | 85% | 0% | 4.7 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჯირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტში არსებობს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემა | 4% | 0% | 0% | 12% | 73% | 11% | 4.7 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 85% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, ხოლო რესპონდენტთა 15% - 4 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 0% | 0% | 15% | 85% | 0% | 4.9 ქულა |

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 82% აფასებს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვას უმაღლესი 5 ქულით, 9% - 4 ქულით, ხოლო 9% არ აფიქსირებს პასუხს შეკითხვაზე, უჭირს პასუხის გაცემა. „უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 74% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 9% - 4 ქულით, 4% (1 რესპონდენტი) - 3 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 13% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე | 0% | 0% | 0% | 9% | 82% | 9% | 4.9 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტში არსებობს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემა | 0% | 0% | 4% | 9% | 74% | 13% | 4.8 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 83% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, რესპონდენტთა 13% - 4 ქულით, ხოლო 4% (1 რესპონდენტი) - 3 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 0% | 4% | 13% | 83% | 0% | 4.8 ქულა |

## მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 63% აფასებს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვას უმაღლესი 5 ქულით, 27% - 4 ქულით, 2% (1 რესპონდენტი) - 3 ქულით, 4% (2 რესპონდენტი) - 2 ქულით, 2% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით, ხოლო 2% (1 რესპონდენტი) არ აფიქსირებს პასუხს შეკითხვაზე, უჭირს პასუხის გაცემა. „უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 43% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 18% - 4 ქულით, 12% - 3 ქულით, 2% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 25% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე | 2% | 4% | 2% | 27% | 63% | 2% | 4.5 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტში არსებობს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემა | 0% | 2% | 12% | 18% | 43% | 25% | 4.4 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 53% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, რესპონდენტთა 37% - 4 ქულით, 6% - 3 ქულით, 2% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით, და ასევე 2% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 2% | 2% | 6% | 37% | 53% | 0% | 4.4 ქულა |

## სტომატოლოგიის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე", გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 83% აფასებს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვას უმაღლესი 5 ქულით, 4% (1 რესპონდენტი) - 3 ქულით, 4% (1 რესპონდენტი) - 2 ქულით, ხოლო 9% (2 რესპონდენტი) - 1 ქულით. „უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის" შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 61% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 4% - 4 ქულით, 9% (2 რესპონდენტი) - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 26% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე | 9% | 4% | 4% | 0% | 83% | 0% | 4.4 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტში არსებობს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემა | 9% | 0% | 0% | 4% | 61% | 26% | 4.5 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.7 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 83% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, რესპონდენტთა 13% - 4 ქულით, ხოლო 4% (1 რესპონდენტი) - 1 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 4% | 0% | 0% | 13% | 83% | 0% | 4.7 ქულა |

## სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 92% აფასებს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვას უმაღლესი 5 ქულით, 4% - 4 ქულით, ხოლო 4% არ აფიქსირებს პასუხს შეკითხვაზე, უჭირს პასუხის გაცემა.

„უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 85% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 4% - 4 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 11% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას.




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე | 0% | 0% | 0% | 4% | 92% | 4% | 4.9 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტში არსებობს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემა | 0% | 0% | 0% | 4% | 85% | 11% | 4.9 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 89% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, ხოლო რესპონდენტთა 11% - 4 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჯირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 0% | 0% | 11% | 89% | 0% | 4.9 ქულა |

პერსონალის კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი ამ შემთხვევაშიც აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული პერსონალის ნაწილმა.

გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს, საგამოცდო ცენტრს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს, სიმულაციურ ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ფინანსურ სამსახურს და ა.შ.) ეგზავნება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან

თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასების მიზნით. აღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გამოკითხვების შედეგად 2024-2025 აკადემიურ წელს გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაზიარებაც მოხდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სტრუქტურული ერთეულების მიერ საპასუხოდ განხორციელებულია არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რეაგირება (მაგალითად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებთან და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან შეფასებების პროცესში იდენტიფიცირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით; ორი ახალი საბიბლიოთეკო სივრცის დამატება და შესაბამისად მოწყობა: 150 მკითხველზე გათვლილი თანამედროვედ აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე გ. ჟვანიას ქუჩაზე №15-ში არსებულ კორპუსში, 6 ჯგუფური მუშაობის ოთახით, ანატომაჟის პლანშეტებითა და ახალი კომპიუტერებით, რომელიც უზრუნველყოფილია გაუმჯობესებული სიჩქარის ინტერნეტით, ასევე 120 მკითხველზე გათვლილი თანამედროვედ, უახლესი ინფრასტრუქტურითა და ციფრული რესურსებით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე დ. გურამიშვილის გამზირზე №76-ში არსებულ კორპუსში, 3 ჯგუფური და 3 ინდივიდუალური მუშაობის სივრცეებით; სტუდენტების პერსონალური ნივთების შესანახი სათავსოების დამატებით მოწყობა; უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის - ბაზის (https://eunsis.eun.edu.ge/) დახვეწა, ახალი ფუნქციების, საგნის განრიგისა და გამოცდების განრიგის დამატება, მოახლოებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ბიბლიოთეკაში არსებული ჯგუფური მუშაობის სივრცის დაჯავშნის ფუნქციის დამატება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მისთვის სასურველი ადგილიდან დაჯავშნოს სამუშაო სივრცე, საჭირო ლოკაციაზე, სასურველი თარიღის და დროის მითითებით, ბაზის გამოყენებით ფსიქოლოგთან კონსულტაციის ანონიმურად დაჯავშნის შესაძლებლობის შექმნა, ინტერფეისის დახვეწა; უნივერსიტეტში არსებული სერვერის გაძლიერება; სტუდენტებისთვის დამატებითი მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა გ. ჟვანიას ქუჩაზე №15-ში არსებულ კორპუსში; 2 ანატომაჟისა და 8 ანატომაჟის პლანშეტის დამატებით შეძენა სტუდენტებისათვის, ასევე ვირტუალური ანატომიის კომპიუტერული პროგრამის შეძენა ანატომიის ლექციებზე გამოსაყენებლად; სპეციალური სახელმძღვანელოების შეძენა სტუდენტებისთვის USMLE -ის გამოცდებისთვის მოსამზადებლად და ბიბლიოთეკაში განთავსება; პლაგიატის ამოცნობის მიზნით უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ პლატფორმაზე (https://www.turnitin.com/) ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტების ამომცნობი მექანიზმის დამატება, Turnitin-ის საერთაშორისო კონსულტანტის

მიერ ხელოვნური ინტელექტის დეტექციის მექანიზმების, შესაბამისი ანგარიშის წაკითხვისა და ანალიზის პროცესის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება; პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის სათანადოდ აღჭურვილი დამატებითი სამუშაო სივრცის მოწყობა; ჯო ენის საუნივერსიეტო ჰოსპიტალში რამდენიმე მიმართულების, მათ შორის ქირურგიის დეპარტამენტის დამატება; საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის Eu Dent-ის გაფართოვება; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოთხოვნით დამატებითი სტომატოლოგიური ინსტრუმენტების შეძენა; საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, კერძოდ, არჩევითი სასწავლო კურსების, მათ შორის სასწავლო კურსის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიცინაში" დამატება; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სხვადასხვა ტრენინგების, ვორქშოპების ორგანიზება და შეთავაზება; სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით ფაკულტეტების მიერ მნიშვნელოვანი შეთავაზებების, კონკურსების ორგანიზება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება: სტუდენტებისთვის ექსტრაკურიკულური კლინიკური პრაქტიკის საზღვარგარეთ გავლის შესაძლებლობების შეთავაზება, სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კლინიკურ პრაქტიკებში საზღვარგარეთ, აღნიშნული შესაძლებლობების საგანმანათლებლო პროგრამებში დამატება და ა.შ.), რომელთა შესახებ ანგარიშიც გაზიარებული და დადებითად შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (დეტალებისთვის იხ. დანართი 9 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

**3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით.** 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია განხორციელდა მეტწილად პირისპირ შეხვედრების გზით, რიგ შემთხვევაში კი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის (google meet) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. შევედრებზე მოწვეული იყო შეხვედრაში მონაწილეობის მსურველი ყველა სტუდენტი.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ, მოკლედ ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ,

განემარტათ თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგადი შეფასება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარების მიზანს იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა და რა ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხრიდან წინა პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოსაზრებების საპასუხოდ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები. შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა გარკვეული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებულია რეაგირების მიზნით განხორციელებული ნაბიჯები (მაგალითად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებთან და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან შეფასებების პროცესში იდენტიფიცირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით; დასკვნითი გამოცდების საგამოცდო პერიოდის 3 კვირაზე გაზრდა, რაც საშუალებას იძლევა საგამოცდო განრიგი შედგეს გონივრული შუალედების გათვალისწინებითა და იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სტუდენტთა ინტერესები; სტუდენტების ინტერესების გამორკვევა და მათი ინტერესების გათვალისწინებით საჯარო ლექციების ორგანიზება სტუდენტებისთვის სასურველი მომხსენებლების მონაწილეობით; ელექტრონული მიკროსკოპების დამატებით შეძენა; უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აპარატის განთავსება, საიდანაც შესაძლებელია ჰიგიენური ნივთებისა და მედიკამენტების შეძენა; სტუდენტების პერსონალური ნივთების შესანახი სათავსოების დამატებით მოწყობა; სტუდენტებისთვის დამატებითი მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა გ. ჟვანიას ქუჩაზე №15-ში არსებულ კორპუსში; ორი ახალი საბიბლიოთეკო სივრცის დამატება და შესაბამისად მოწყობა: 150 მკითხველზე გათვლილი თანამედროვედ აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე გ. ჟვანიას ქუჩაზე №15-ში არსებულ კორპუსში, 6 ჯგუფური მუშაობის ოთახით, ანატომაჟის პლანშეტებითა და ახალი კომპიუტერებით, რომელიც უზრუნველყოფილია გაუმჯობესებული სიჩქარის ინტერნეტით,

ასევე 120 მკითხველზე გათვლილი თანამედროვედ, უახლესი ინფრასტრუქტურითა და ციფრული რესურსებით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე დ. გურამიშვილის გამზირზე №76-ში არსებულ კორპუსში, 3 ჯგუფური და 3 ინდივიდუალური მუშაობის სივრცეებით; ინტერნეტის სიხშირის გაძლიერების მიზნით, სტუდენტების მიერ დასახელებულ ოთახებში HDMI კაბელების შეცვლა; უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის - ბაზის (https://eunsis.eun.edu.ge/) დახვეწა, ახალი ფუნქციების დამატება, კერძოდ, სასწავლო კურსების შესახებ მოკლე ინფორმაციის, აღწერილობის დამატება აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში სტუდენტთა მეტად ინფორმირების მიზნით, საგნის განრიგისა და გამოცდების განრიგის დამატება, ბაზის გამოყენებით ფსიქოლოგთან კონსულტაციის ანონიმურად დაჯავშნის შესაძლებლობის შექმნა; კონკრეტული პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისთვის სტაჟირების კონკურსების გამოცხადება და ა.შ.).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგების გათვალისწინებისა და რეაგირებების შესახებ დეტალური უკუკავშირის გაგზავნა სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდნეტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი 10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

**3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშული პროცესებით კმაყოფილება, ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2024-2025 აკადემიურ წელს ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და მიმდინარეობა შეფასდა ხუთივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, მათ

შორის, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების შემთხვევაში, შეფასდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) ორგანიზება და მიმდინარეობა, ოსკის გამოცდების შემთხვევაში საგამოცდო პროცესები შეფასდა გამომცდელების მიერაც.

საგამოცდო პროცესების ორგანიზება და მიმდინარეობა ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული სტუდენტების მიერ, ხოლო ოსკის გამოცდების შემთხვევაში, როგორც სტუდენტების, ისე გამომცდელების მიერ: შეკითხვაზე „საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით საგამოცდო პროცესების ორგანიზებისა და მიმდინარეობის საკითხს", გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა, გამომცდელები კი სრულად, დადებითად პასუხობს, კერძოდ, აღნიშნული საკითხის შეფასება ხუთივე ფაკულტეტის სტუდენტებისა და გამომცდელების მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.6 ქულა (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.3 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ 4.2 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:




### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.5 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო

დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ 3.7 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:




## მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.1 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ კვლავ 3.1 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით მედიცინის ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:




მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო პროცესები, კერძოდ კი ოსკის გამოცდების ორგანიზებითა და მიმდინარეობით კმაყოფილება შეფასდა როგორც სტუდენტების ისე გამომცდელების მიერ. შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:




## სტომატოლოგიის ფაკულტეტი

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.3 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ 3.2 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით სტომატოლოგიის ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:




სტომატოლოგიის ფაკულტეტის შემთხვევაშიც, როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო პროცესები, კერძოდ კი ოსკის გამოცდების ორგანიზებითა და მიმდინარეობით კმაყოფილება შეფასდა როგორც სტუდენტების ისე გამომცდელების მიერ. შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:




## სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების საგამოცდო პროცესების ორგანიზებით ზოგადი კმაყოფილება შუალედური გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 3.0 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება), ხოლო დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში - საშუალოდ კვლავ 3.4 ქულით (ორივე სემესტრის საშუალო შეფასება). შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და სემესტრების მიხედვით სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:




**შენიშვნა:** ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში არ განხორციელებულა ისეთი სასწავლო კურსები, სადაც 2024-2025 აკადემიურ წელს საჭირო იქნებოდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) ორგანიზება და ჩატარება, შესაბამისად, აღნიშნული ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში არ განხორციელებულა ოსკის საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების ანდა გამომცდელების მიერ.

მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები შინაარსის მიხედვით ეგზავნება საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტს და ოსკის გამოცდების შემთხვევაში სიმულაციურ ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი, ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის თანამშრომლები სტუდენტთა და გამომცდელთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. 2024-2025 აკადემიური წლის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური წლის მიმდინარეობისას, როგორც საგამოცდო ცენტრის, ისე ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის მიერ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად გრძელდება მუშაობა ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან. უკვე განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიში ფაკულტეტის დეკანის, საგამოცდო ცენტრისა და სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების მიზნით. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში არ გამოკვეთილა რეაგირების საჭიროებები (დეტალებისთვის იხ. დანართი 13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საკითხების შეფასებას. 2024-2025 აკადემიურ წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის შემხთხვევები, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო

განაცხადებით მიმართვის შემთხვევები, არის სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით აპელაციის შემთხვევების რაოდენობა და აპელაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება ბოლო ორ აკადემიურ წელს ჩატარებულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს შორის: 2023-2024 აკადემიურ წელს შეფასების შედეგების გასაჩივრების ჯამში 24 შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან სააპელაციო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა გასაჩივრების 13 შემთხვევა, აქედან 2 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა შეფასებისას დაშვებული ტექნიკური ტიპის შეცდომა, ხოლო 11 შემთხვევაში სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად. 2024-2025 აკადემიურ წელს შეფასების შედეგების გასაჩივრების ჯამში 73 შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან სააპელაციო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა გასაჩივრების 31 შემთხვევა, აქედან 19 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა შეფასებისას დაშვებული ტექნიკური ტიპის შეცდომა, ხოლო 12 შემთხვევაში სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად:




**შენიშვნა:** საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშისა და კომისიის წარმოდგენილი ოქმების მიხედვით აპელაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევები უკავშირდება შემდეგ გარემოებას: შეფასებები გადამოწმდა კომისიური წესით, თუმცა კომისიამ არ ჩათვალა აპელაციის დაკმაყოფილება და შეფასების გაზრდა მიზანშეწონილად, რადგან ნაშრომი არ იძლეოდა შეფასების შეცვლის საფუძველს მისი შინაარსობრივი შეფასების შედეგად, ნაშრომში კომიიის მიერ არ აღმოჩენილა არც ტექნიკური ტიპის შეცდომები.

ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, გასაჩივრებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების სტუდენტების მიერ ცოდნასა და გამოყენებას, მონაცემებით ასევე დასტურდება გასაჩივრების შემთხვევებზე ობიექტური რეაგირება. ამდენად, 2024-2025 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რაიმე ტიპის რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი 14 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ).

**3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.** პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და საკონტაქტო საათების შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ კლინიკისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლენში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ

პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2024-2025 აკადემიურ წელს პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ განხორციელდა ოთხ ფაკულტეტზე: სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024-2025 აკადემიურ წელს ირიცხებოდა მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტები და შესაბამისი სემესტრები (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრები) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით არ ითვალისწინებდა პრაქტიკის კომპონენტის სტუდენტების მიერ შესრულებას, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასება 2024-2025 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.9 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ კვლავ 4.9 ქულით შეფასდა. შეფასების შედეგები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




## ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგებიც ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.5 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით უმაღლესი 5 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით კვლავ უმაღლესი 5 ქულით შეფასდა. შეფასების შედეგები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



## მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)", გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 3.5 ქულა. კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებასთან დაკავშირებით, კლინიკების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების შეფასების ორივე სემესტრის შედეგები უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.5 ქულა. ასევე, მეტწილად დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ" და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ". კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.6 ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.4 ქულით შეფასდა. შეფასების შედეგები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის

კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.5 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.6 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ კვლავ 4.6 ქულით შეფასდა. შეფასების შედეგები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




## სტომატოლოგიის ფაკულტეტი

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე მოქმედი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.2 ქულა. კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებასთან დაკავშირებით, კლინიკების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების შეფასების ორივე სემესტრის შედეგები უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.5 ქულა. ასევე, მეტწილად დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“ და

„გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“. კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.8 ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.6 ქულით შეფასდა. შეფასების შედეგები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




გაანალიზდა 2024-2025 აკადემიური წლის შეფასების შედეგები და მოხდა ანალიზის შედეგების ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის გაზიარება. შეფასების შედეგების მიხედვით, გამოკითხვის შედეგად გამოვლენილია საყურადღებო საკითხებიც, რის საპასუხოდაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა რეაგირების შესახებ ანგარიშის ფაკულტეტისგან გამოთხოვა, საყურადღებო საკითხებზე შესაბამისი მხარეების მიერ განხორციელებული, დაგეგმილი რეაგირებების ანდა საპასუხო მოსაზრებების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მხრიდან გაზიარებულია აღნიშნული რეაგირებების ანგარიშები, სადაც აღწერილია, როგორც უკვე განხორციელებული ქმედებები ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი რეაგირების საკითხები და საპასუხო მოსაზრებები (იხ. დანართი 8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

**3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.** სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და

მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ ასევე მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2024-2025 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის ოთხი ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომელთა გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ ყველა გამოკითხული ფაკულტეტის სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.7 ქულაა, ხოლო შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ცოდნა და გამოცდილება რაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით შეიძინეთ“, გამოკითხული ოთხივე ფაკულტეტის სტუდენტის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ კვლავ 4.7 ქულა. ასევე დადებითად შეფასდა სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, დამატებითი პრაქტიკული უნარების განვითარება, კარიერული შესაძლებლბების გაუმჯობესება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე ოთხივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ უმაღლესი 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით შეფასდა საშუალოდ 4.2 ან მეტი

ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები ფაკულტეტებს შორის შედეგნაირად ნაწილდება:







2024-2025 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმაც, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით" ყველა ფაკულტეტის გამოკითხული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, კვალიფიკაციის ამაღლება (სწავლების, კვლევითი და ა.შ. უნარების

გაუმჯობესება), მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება, პროფესიურლი კონტაქტების დამყარება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე ყველა ფაკულტეტის პერსონალის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით შეფასდა საშუალოდ 4.4 ან მეტი ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები ფაკულტეტებს შორის შედეგნაირად ნაწილდება:







2024-2025 აკადემიურ წელს საერთაშორისო მობილობით ასევე ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმაც. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“, გამოკითხული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, გამოცდილების მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება

და სხვადასხვა უნარის გაუმჯობესება, პროფესიურლი კონტაქტების დამყარება, სამუშაო პროცესთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკების შესწავლა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სამუშაო პროცესში გამოყენება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის მიერ 2024-2025 აკადემიური წლის ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.6 ან მეტი ქულით. საერთაშორისო მობილობით ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები სემესტრებს შორის შედეგნაირად ნაწილდება:




2024-2025 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი საყურადღებო საკითხი სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი ანდა ადმინისტრაცული პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეაგირების მოთხოვნის საჭიროება. ასეთ შემთხვევებში შეფასების შედეგები გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის სამსახურს. თუმცა რიგ შემთხვევბში გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეფასების აღნიშნული შედეგები რეაგირებების მიზნით გაეგზავნა საერთაშორისო ურთიერთბების სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიღებულია რეაგირების ანგარიშები, სადაც აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები, ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები ანდა საპასუხო მოსაზრებები (იხ. დანართი 12 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

**3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა.** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება მობილობით ევროპის უნივერსიტეტიდან გადასული და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ყოველი მობილობის დროს, ევროპის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში გადასვლისა და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზების

მოკვლევის მიზნით. მობილობის მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასულმა 17-მა სტუდენტმა. წარმოგიდგენთ ევროპის უნივერსიტეტიდან გადასვლის მაღალი (10%-ზე მეტი) პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სტუდენტების მხრიდან დასახელდა რამდენიმე საკითხი: ორივე სემესტრის გამოკითხვის შეჯამებული შედეგების შესაბამისად რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, 41% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეული უნივერსიტეტის ადგილმდებარეობას, 24% - ის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სახელდება მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში მისთვის სასურველი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა, რომელზეც მას სურდა სწავლის გაგრძელება. გამოკითხულთა 18% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეული უნივერსიტეტის სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს, 12%-12% - ის მიერ კი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად დასახელებულია მობილობით არჩეული უნივერსიტეტის მიერ კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა და უკეთესი სტუდენტური ცხოვრების შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადასვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტიდან მობილობით გადასვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



კითხვარი იძლეოდა რესპონდენტების მხრიდან დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების დაფიქსირების შესაძლებლობას, დამატებითი საყურადღებო საკითხების, ან დასახელებულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გამოვლენის მიზნით. გამოკითხვის შედეგად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ სახელდება ევროპის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ: ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.), უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.), საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი კვალიფიციური პერსონალი, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ცხოვრება, სწავლის საფასური და გადახდის პირობები, სახელდება ასევე კარიერული განვითარებისა და კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობები, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა. ამასთანავე გამოკითხვისა და შეფასებების შედეგად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხიც, კერძოდ, გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ დასახელებული გადასვლის მიზეზები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებული გადასვლის გარკვეული მიზეზები, რესპონდენტთა ნაწილის მიერ გამოკითხვის პროცესში ამასთანავე სახელდება როგორც უნივერსიტეტის ძლიერი მხარე. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოღნიშნული ძლიერი მხარეები, როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებულია მობილობით გადამსვლელი სტუდენტების მიერ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას სძენს შეფასებებს.

მობილობით ევროპის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულმა 31-მა სტუდენტმა. წარმოგიდგენთ უნივერსიტეტში გადმოსვლის მაღალი (15%-ზე მეტი) პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ ევროპის უნივერსიტეტში მათი გადმოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.), ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციური პერსონალის მიერ განხორციელება, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.), გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, კარიერული განვითარების შესაძლებლობები, ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიან განათლების

მიღების შესაძლებლობები, კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა, ევროპის უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ცხოვრება, უნივერსიტეტში უფრო ადვილად სწავლის შესაძლებლობები, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში მოხდა დიდი მოცულობით კრედიტების აღიარება (საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა).

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადმოსვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:




გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მაგალითად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად უფრო მარტივად სწავლის დასახელება. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში გადმომსვლელთა საკმაოდ დიდი ნაწილი (26%) გადმოსვლის მიზეზად ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას ასახელებს, ასევე დიდი ნაწილის (42%-ის) მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა, რესპონდენტთა ასევე დიდი ნაწილი (42%) ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად ასახელებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, რაც ასევე ხარისხიანი განათლების მიღების მოლოდინს უკავშირდება, რესპონდენტთა 35%-ის მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო, 16%-ის მიერ კი საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიციური პერსონალის მიერ განხორციელება.

ამდენად, გამოკითხვის შედეგად მობილობით ევროპის უნივერსიტეტიდან გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების მიერ განხორციელებული შეფასებები ძირითადად დადებითია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა შეფასების მიღებული შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაზიარება გაცნობისა და საჭიროებისამებრ რეაგირებების მიზნით. სტრუქტურული ერთეულების მიერ არ ჩაითვალა შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საკითხები საყურადღებოდ, რაზეც მოხდებოდა მიმდინარე აკადემიურ წელს რეაგირება შედეგების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არ გაზიარებულა განხორციელებული რეაგირებებისა თუ დაგეგმილი საპასუხო აქტივობების/საპასუხო მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი ანგარიშის საშუალებით, ანგარიშგებისა და შეფასებების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი 11 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 4. კვლევა

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

### 4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებებთან ერთად წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე,

სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აღნიშნული წესით ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2024-2025 აკადემიური წლის ბოლოს (განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

## 4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარებასთან, შესაბამისი კონსულტაციების გაწევასთან ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი 16 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ). 2024-2025 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, სტომატოლოგიის, მედიცინის და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების, რიგ შემთხვევებში მათი შემადგენელი კვლევითი ინსტიტუტების მიერ შეტანილ იქნა არაერთი განაცხადი როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით. უფრო კონკრეტულად, ფაკულტეტების მიერ წარდგენილია 1 განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით, და 9 განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით. ჯამში 2024-2025 აკადემიურ წელს წარდგენილია 10 განაცხადი, მათგან 2 დაფინანსდა, 1 მოლოდინის რეჟიმშია,

ხოლო უარყოფითი შედეგი ცნობილია 7 განაცხადის შემთხვევაში. წარდგენილი განაცხადების უმეტესობამ (8 განაცხადმა) გაიარა შესარჩევი ეტაპი:

| # | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი | ფაკულტეტი/ საგანმანათლებლო პროგრამა | გაიარა შესარჩევი ეტაპი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|
| განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით | | | | | |
| 1. | Advancing Professionalism Assessment in Medical Education and Healthcare in Georgia | ERASMUS-EDU-2025-CBHE (Capacity building in the field of higher education) | მედიცინის ფაკულტეტი და სტომატოლოგიის ფაკულტეტი | დიახ | არ დაფინანსდა |
| განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით | | | | | |
| 1. | უფლებების ლაბორატორია<br><br>მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (პროექტის შიფრი SPG-25-100) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | დიახ | დაფინანსდა |
| 2. | ჟურნალის საერთაშორისო სადისკუსიო ბლოგი<br><br>მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (პროექტის შიფრი SPG -25 -316) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი / სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | დიახ | არ დაფინანსდა |
| 3. | ისტორიის სკოლა<br><br>მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (პროექტის შიფრი SPG-25-1350) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | დიახ | არ დაფინანსდა |
| 4. | „კლინიკური მონაცემების სამეცნიერო მნიშვნელობის წარმოჩენა ტუბერკულოზის მაგალითზე“<br><br>მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (პროექტის შიფრი SPG-25-344) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | მედიცინის ფაკულტეტი | დიახ | არ დაფინანსდა |
| 5. | ხელოვნური ინტელექტის (AI) კვლევისა და სასწავლო პროცესებში ინტეგრაციის ეთიკური ჩარჩოსკენ: პოლიტიკის | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო | ენათა ცენტრი | დიახ | არ დაფინანსდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რეკომენდაციები და პრაქტიკული მოსაზრებები<br><br>ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი (პროექტის შიფრი YS-25-093) | ფონდი | | | |
| 6. | პირის ღრუს სტატუსი, პირის ღრუს ჰიგიენის ჩვევები და კვებითი ქცევები 6-12 წლის ბავშვებში საქართველოში<br><br>ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი (პროექტის შიფრი YS-25-4653) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სტომატოლოგიის ფაკულტეტი | არა | არ დაფინანსდა |
| 7. | პოსტანგიოპლასტიკურ პერიოდში ოქსიდაციური სტრესის ბიომარკერების შესწავლა: მაღალი რისკის პერიოდების ინტერდისციპლინური ანალიზი<br><br>ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი პროექტის შიფრი (FR-25-3769) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | მედიცინის ფაკულტეტი | დიახ | მოლოდინის რეჟიმში |
| 8. | მომხმარებლის ინტერესების დაცვა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში: არსებული მდგომარეობა, პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში<br><br>ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (პროექტის შიფრი FR -25 – 18275) | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | დიახ | დაფინანსდა |
| 9. | მაგნეტიტური ნაწილაკების გავლენა შფოთვასა და ოქსიდაციურ სისტემებზე<br><br>ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | მედიცინის ფაკულტეტი | არა | არ დაფინანსდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გრანტების კონკურსი (პროექტის შიფრი FR-25-3336) | | | | |

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ანგარიშის თანახმად სახეზეა ფაკულტეტების მხრიდან საკმაო აქტიურობა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიზნით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ისე ზოგადად, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს, საგრანტო განაცხადის მომზადების ეტაპზე სთავაზობს პერსონალს ინტენსიურ თანამშრომლობას და კონკულტაციებს შესაბამის მხარეებთან, განაცხადის ავტორებთან, მათი მხარდაჭერის, უფრო კონკრეტულად კი საგრანტო განაცხადების გამართვისა და სრულფასოვნად მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ხშირად არის საგრანტო პროექტების დაფინანსების შემთხვევები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს. 2022-2023 აკადემიურ წელს დაფინანსდა ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილე ხუთი საგრანტო პროექტი, 2023-2024 აკადემიურ წელს დაფინანსდა ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილე ორი საგრანტო პროექტი, ხოლო როგორც უკვე აღინიშნა, 2024-2025 აკადემიურ წელსაც დაფინანსდა ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილე ორი საგრანტო პროექტი.

ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ შეტანილი საგრანტო პროექტების განაცხადებისა და მათი დაფინანსების შესახებ მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:









### 4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ

დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშვნელობის გაანალიზების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანაგრიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ გაანალიზებულია 2024-2025 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები და შეფასებულია პროექტის შედეგების მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტისგან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანაგრიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების

გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის პრაქტიკული ღირებულება ან/და შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი 17 - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინარეობის ანგარიშები). 2024-2025 აკადემიურ წელს მიმდინარე ან/და დასრულებული საგრანტო პროექტის შედეგები წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების მიხედვით შემდეგია:

**საგრანტო პროექტი „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“.** პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი (24 თვე), პროექტის ბიუჯეტი: 117 400 ლარი, სტატუსი: დასრულებული, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, იოსებ კელენჯერიძე.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტური აღსრულებისათვის ხელისშემშლელი საკითხების გამოკვეთა, მათი შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკისა და აკადემიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდაციების მომზადება, რათა მოხდეს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტური აღსრულება ციფრული ეკონომიკის ეპოქაში. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს უწყობს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკისა და ინოვაციების განვითარების, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვას, თავისუფალი ვაჭრობას და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას.

რაც შეეხება კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების / კვლევის შედეგებისა და პროექტის ძირითადი მიღწევების შეჯამებას, კვლევის მთავარ მიზანი - ციფრული ეკონომიკის ეპოქაში, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისათვის ხელისშემშლელი საკითხების გამოკვეთა და საუკეთესო პრაქტიკისა და აკადემიური ლიტერატურის ანალიზი მიღწეულია, რაც სასარგებლოა როგორც დარგის მკვლევრებისათვის, ასევე იმ პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული კონკურენციის სამართლის აღსრულებაში. კვლევის შინაარსის მიხედვით მოძიებული აკადემიური ლიტერატურის და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე დაიწერა სამეცნიერო ნაშრომი: „საქართველოს კონკურენციის სამართალი ციფრულ ეპოქაში - ქართული პრაქტიკა და არსებული გამოწვევები“ (2024), სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ტექნოლოგიური ეპოქის ძირითადი ბიზნეს მოდელებს და კონკურენციის პოლიტიკის მთავარ ტექნოლოგიურ გამოწვევებს: DOI: https://doi.org/10.36475/10.2.15, გამოიცა სახელმძღვანელო „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“ (2025), გამომცემლობა „დანი“, ISBN 978-9941-9662-4-8:

https://law.org.ge/storage/pdf/books/book_last.pdf, ამასთანავე, ჩატარდა კონფერენცია „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“ (2025): https://law.org.ge/ge/conferences/10.

კვლევას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა და ღირებულებები: კვლევის შედეგად შექმნილი ლიტერატურა კონკურენციის სამართალში შესაძლებელია აქტიურად იქნეს გამოყენებული სასწავლო პროცესში, ამასთანავე, კვლევას გააჩნია პრაქტიკული ღირებულებაც: საერთაშორისო პრაქტიკული ქეისების განხილვის შესახებ პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძვანელო შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოსამართლეების, მოქმედი იურისტების მიერ პრაქტიკაში ანალოგიური შემთხვევების შესწავლის დროს. უფრო დეტალურად, კვლევითი პროექტის მთავარი პროდუქტია კვლევითი დოკუმენტის მომზადება, რომელიც, ერთი მხრივ, შექმნის სამეცნიერო სიახლეს, ქართული კონკურენციის პოლიტიკის ციფრულ ეკონომიკის კონტექსტში გააზრების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, იქნება გამოყენებული სასწვლო მიზნებისათვის, როგორც კონკურენციის სამართლის თუ ციფრული ეკონომიკის საკითხების სახელმძანელო. პრაქტიკული კუთხით სახელმძღვანელოს შექმნა ხელს შეუწყობს, რათა საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიაზრონ ტექნოლოგიური მიღწვებით განპირობებული გამოწვევები კონკურენციის სფეროში და მოახდინონ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის და სამართლის ადაპტირება ციფრული ეკონომიკით შექმნილ რეალობასთან. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული დოკუმენტი, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო უწყებებისთვის იქნება გზამკვლევი ონლაინ ბაზრებზე კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლის პროცესში, მეორე მხრივ, ციფრულ ბაზარზე მოქმედი ბიზნესსუბიექტებისთვის იქნება პრაქტიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო. კვლევა, მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის კუთხითაც და ამ მხრივ, რელევანტურია, როგორც ქართული სამართლის ევროპულ სამართალთან (EU acquis) დინამიკური აპროქსიმაციის კუთხით, აგრეთვე უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ზოგადად, საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის კუთხითაც.

საგრანტო პროექტი „კვლევის მეთოდების პრინციპები მედიცინაში“. პროექტის ხანგრძლივობა: 8 თვე, პროექტის ბიუჯეტი: 4 980 ლარი, სტატუსი: დასრულებული, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ზაზა ავალიანი.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მედიცინის დარგში სამეცნიერო კველვის მეთოდების შესახებ მონოგრაფიის გამოცემა. მონოგრაფიაზე მუშაობა დასრულებულია და სახელმძღვანელო „კვლევის მეთოდების პრინციპები მედიცინაში“ (2024) გამოცემულია გამომცემლობა „უნივერსალი“: DOI: https://doi.org/10.52340/9789941338663, მონოგრაფია

გადაეცა თბილისის ეროვნულ და სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. შედეგების დისემინიაციისთვის მონოგრაფია ასევე დარიგდა სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განთავსდა ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მონოგრაფია შეუქმნის მეტ შესაძლებლობას როგორც პედაგოგებს, ისე სტუდენტებს უკეთ შეისწავლონ სამეცნიერო მიდგომები მედიცინაში.

აღნიშნული მონოგრაფია განკუთვნილია ქართველი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, მონოგრაფია არის სიახლე მედიცინის მიმართულებით, ასეთი შინაარსით კვლევის მეთოდებში ქართულენოვანი სახელმძღვანელო ამ დროისთვის არ არსებობდა. მონოგრაფია სამეცნიერო კვლევის მეთოდებს მიმოიხილავს, რაც პირდაპირ კავშირშია სამეცნიერო საზოგადოებასთან. მას ექნება ფართო გამოყენება როგორც სტუდენტებში, ისე სამეცნიერო წრეებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ პროექტებს გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის.

### 4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით), რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

პლაგიატის აღმოჩენისა და ამ კუთხით ნაშრომების შეფასების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში გამოყენებულია ელექტრონული პროგრამა: https://www.turnitin.com/. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით პროგრამა გამოიყენება არამხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მიზნით, არამედ ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა ისეთი წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.) შესამოწმებლად, სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ითხოვს დავალებაში გამოყენებული მასალისა და წყაროების მითითებას. სასწავლო კურსის

განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია წერით დავალებებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურად გაანულოს დავალების ქულა, ხოლო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ უბრუნდება სტუდენტს გადასამუშავებლად.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ზრდის ტენდენციის ფონზე, ევროპის უნივერსიტეტმა 2025 წლიდან Turnitin-ის არსებულ პაკეტს დაამატა AI detector ფუნქციონალი. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტების იდენტიფიცირებას, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას სასწავლო და კვლევის პროცესში, თანამედროვე ციფრულ გარემოში. 2025 წლის 14 აპრილს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „Moodle direct, Plagiarism Plug in, AI detector“. ტრენინგის მთავარი თემა იყო ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი ტექსტების ამოცნობა და Turnitin-ის გენერირებული ანგარიშების სწორად წაკითხვა/ ინტერპრეტაცია. სესიას გაუძღვა Turnitin-ის საერთაშორისო კონსულტანტი – ჯერონ ვანდერბისენი, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა პლატფორმის ფუნქციონალი, AI-დეტექციის მექანიზმები და რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით აჩვენა დამსწრე პერსონალს ანგარიშის წაკითხვისა და ანალიზის პროცესი: https://eu.edu.ge/akademiuri-da-mowveuli-personalistvis-onlain-treningi/.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტებისგან გამოითხოვს შევსებულ ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამების ფარლებში ზემოაღწერილი რეგულაციების შესრულების შეფასების მიზნით. ანგარიშის შევსება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა 2024-2025 აკადემიური წლის ორივე სემესტრის ბოლოს. ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება სემესტრების მიხედვით:



ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით არ არის სტუდენტის მხრიდან ნაშრომის განულების გასაჩივრების არცერთი შემთხვევა. ანგარიშების შესაბამისად, სტუდენტებს, ვისთანაც დაფიქსირდა პლაგიატის ნიშნები, ლექტორების მხრიდან მიეწოდათ უკუკავშირი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მიმართულებით მათი ინფორმირებულობის კიდევ უფრო მეტად გაზრდის მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიშების შესაბამისად ჩანს Turnitin-ის AI-დეტექციის ფუნქციის აქტიური გამოყენება და სათანადო რეაგირება შესაბამისი სასწავლო კურსების / კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის მიერ. პლაგიატის აღმოჩენილი ზემოაღნიშნული რაოდენობიდან 34 შემთხვევაში მოხდა ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი ტექსტების ამოცნობა და სათანადოდ რეაგირება (დადგენილი წესის შესაბამისად დავალების განულება ანდა ნაშრომის გადასამუშავებლად დაბრუნება).

შევსებული ანგარიშების შეფასების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეგულაციების შესრულება. ნაშრომები/წერითი დავალებები შემოწმებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სადაც აღნიშნულის საჭიროება და შესაძლებლობაა). პლაგიატის ნიშნებზე შემოწმებულია საბაკალავრო ნაშრომებიც/პროექტებიც და სასწავლო კურსების ფარგლებში სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები, მათ შორის, ესსე, კვლევითი პროექტები, რეფერატები, კვლევის კონცეფციები, თეორიული საკითხები, ღია კითხვები. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების საფუძველზე საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირებების მოთხოვნის საჭიროება (დეტალებისთვის იხ. დანართი 15 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები).

აღსანიშნავია, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ორგანიზებული აქტივობები და ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდას:

1. 2025 წლის 22 იანვარს, 2025 წლის 10 აპრილსა და 2025 წლის 22 მაისს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ მედიცინის, სტომატოლოგიის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, სავეტერინარო მედიცინისა და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები თემაზე: „აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია“ ჩატარდა. შეხვედრაზე სტუდენტები გაეცნენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, უნივერსიტეტში არსებულ „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებს და მექანიზმებს“. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებმა აკადემიური

კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის თემასთან დაკავშირებით, ონლაინ ქვიზში მიიღეს მონაწილეობა.

2. 2025 წლის 6 მაისი - 25 მაისის პერიოდში ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და ფაკულტეტების მიერ დაგეგმილი „აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეულის" ფარგლებში სტუდენტებისთვის გამოცხადდა პოსტერების კონკურსი თემაზე „პლაგიატის პრევენცია“. კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის 50-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ჟიურიმ შეარჩია სამი საპრიზო ადგილის მფლობელი. კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო პრიზები.

3. 2025 წლის 9 -13 ივნისის პერიოდში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და ფაკულტეტების თანაორგანიზებით „სამეცნიერო კვირეული სტუდენტებისთვის 2025“ გაიმართა. კვირეულის ფარგლებში, სტუდენტებისათვის სხვადასხვა თემაზე სამუშაო შეხვედრები და სემინარები გაიმართა, რომლებსაც ევროპის უნივერსიტეტის, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი უძღვებოდა. 12 ივნისს სტუდენტებისთვის გაიმართა ფილმის ჩვენება. კვირეულის მიზანი სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, მათთვის სამეცნიერო სტატიისა და კვლევითი პროექტების მომზადების გაცნობა, კვლევის კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების გაცნობა იყო.

## თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. გამოკითხვის პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება

საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების მისამართით, მათ შორის მმართველი რგოლის მისამართითაც მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს და პირებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2024-2025 აკადემიური წლის ბოლოს, მოხდა შედეგების გაანალიზება. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 72-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი მეტწილად კმაყოფილება: შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით თქვენს ზოგად კმაყოფილებას“, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.7 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: პერსონალის 71% მაქსიმალური 5 ქულით აფასებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას, 24% - 4 ქულით, ხოლო 5% - 3 ქულით:



| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0% | 0% | 5% | 24% | 71% | 4.7 ქულა |

გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სახელდება მნიშვნელოვანი დადებითი შეფასებები და უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის არაერთი ძლიერი მხარე: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მატერიალური ბაზის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა, უშუალო კომუნიკაცია და პროფესიონალების გუნდი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სწრაფი რეაგირება და თანამშრომლების მხარდაჭერა, გუნდური მუშაობის კულტურა, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემური საკითხის გუნდური მოგვარება, პროცესების უწყვეტობა და გამართულად, ეფექტურად ფუნქციონირება, კოორდინირებული კომუნიკაცია დეპარტამენტებს შორის, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის გრძნობა, თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ხელშეწყობა, ნაკლები ბიუროკრატია, გადაწყვეტილების მიღების სწრაფი პროცესები, სტრუქტურულ ერთეულებთან მარტივი კომუნიკაცია და მათი მუდმივი მზადყოფნა ჩაერთონ პროცესში, წარმოქმნილი პრობლემებსა და საკითხებზე დროული რეაგირება და მათი დროული გადაჭრა, თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც ეფექტურად აისახება სამსახურის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ხარისხსზე, ეფექტური კომუნიკაცია, გასაგებად მოწოდებული დავალება, მყისიერი რეაგირება, გუნდური და ეფექტური მუშაობა, კარგი სამუშაო სივრცე და გარემო, კვალიფიციური და გამოცდილი გუნდი, ინიციატივების მხარდაჭერა და ხელშეწყობა, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და ძალიან კარგი და მდიდარი სასწავლო რესურსი, ხარისხზე ორიენტირებულობა და თითოეული საკითხისადმი სიღრმისეული და ყურადღებიანი დამოკიდებულება, სამსახურების საქმიანობების მხარდაჭერა, დროული და ეფექტიანი უკუკავშირი, უშუალო ხელმძღვანელის მიერ სხვისი აზრის მიმღებლობა, რამდენიმე საკითხზე ერთდროულად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის და თანადგომის მაღალი უნარი, კომპეტენცია და შრომისმოყვარეობა და ა.შ.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მათ შორის: ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულთან საჭირო ინფორმაციის მიმოცვლის ერთიანი პრაქტიკის დანერგვა, სხვადასხვა სამსახურიდან ინფორმაციის დროულად გაზიარება ან არა სამუშაო დროს გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობა, მიზნობრივი აუდიტორიისთვის საინტერესო აქტივობების მხარდაჭერა, სამუშაოს შემჭიდროვებულ ვადებში შესრულება, სხვადასხვა კამპუსის გამო თანამშრომელთა ნაკლები ინტეგრაცია, სამუშაოს არასწორი განაწილება, სამსახურებს შორის კოორდინირების ხარისხი, (კოორდინირება მეტწილად საკმაოდ ეფექტურია, თუმცა, რიგ შემთხვევაში

გასაუმჯობესებელია), რამდენიმე შესასრულებელი დავალების ერთდროულად მიღება, თიმ ბილდინგის აქტივობების ორგანიზება, ზოგჯერ ბიუროკრატიული პროცესები, თანამშრომლების დამატების საჭიროება, ანაზღაურების გადახედვა, ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული გასაუმჯობესებელი მხარეები ამავე დროს თანამშრომელთა დიდი ნაწილის მიერ სახელდება უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებშიც, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ზემოაღნიშნული გასაუმჯობესებელი მხარეების უმეტესობა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებშია დასახელებული თანამშრომელთა მიერ, მაშინ როცა იგივე საკითხები ძლიერ მხარედ დასახელებულია ძალიან ხშირად და თანამშრომელთა დიდი ნაწილის მიერ, მაგალითად როგორიცაა, ეფექტური კომუნიკაცია, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, ხელშეწყობა, კარგი სამუშაო გარემო და ა.შ.

კითხვარი იძლევა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციების, მოსაზრებებისა და კომენტარების გაზიარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების მხრიდან შესაძლებელი იყოს სათანადო რეაგირებები მართვის ეფექტიანობის და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. პერსონალმა უმეტეს შემხთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

გასული აკადემიური წლების ანალოგიური გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განხორციელდა არაერთი რეაგირება, მათ შორის დამკვიდრდა სამსახურების რეგულარული შეხვედრების, მნიშვნელოვანი საკითხების ერთად განხილვის, ერთობლივი მსჯელობისა და მოსაზრებების გაზიარების პრაქტიკა, რაც შესაძლებელია იყოს მიღებული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი.

2024-2025 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამსახურებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები. გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებებისთვის წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანდა პირების (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ფაკულტეტები, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური და ა.შ.) მხრიდან განხორციელებული რეაგირებების (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკის განახლება კონკრეტულ სტრუქტურულ

ერთეულებში (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებთან, ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებთან და ა.შ.) ადმინისტრაციული პერსონალის დამატება (დაემატა ჯამში 11 თანამშრომელი სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში), ანაზღაურების საკითხების გადახედვა/კონკრეტულ შემთხვევებში შესაბამისად ცვლილება (საანგარიშო პერიოდში ცვლილება შეეხო 107 თანამშრომელს) და ა.შ.) და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ანგარიშების საშუალებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული საპასუხო პოზიციები, მოსაზრებები იმის შესახებ თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი 19 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან.

## თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურსა და სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება გარკვეული რეაგირებები, განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს უკვე განხორციელებული რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ასევე მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტების დახვეწა და მოდიფიცირება.

2024-2025 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასების პროცესებისა და ანალიზის საფუძველზე განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული არაერთი ინსტრუმენტის გადახედვა, მოდიფიცირება და დახვეწა, მაგალითად, დაიხვეწა სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშის ფორმა, დაემატა ველი, სადაც

შესაძლებელია შეფასების მიზეზების მითითება, რაც უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, მოხდა ოსკის გამოცდების სტუდენტებისა და გამომცდელების მიერ შეფასების კითხვარის მოდიფიცირება, გადაიხედა და მოდიფიცირდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარები. ზემოაღნიშნული შეფასებების საფუძველზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და შესაბამის ინსტრუმენტებში გასულ აკადემიურ წლებშიც, კერძოდ, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, ანგარიშის ფორმაში, მაგალითად, დაიხვეწა და განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების წლიური განვითარების ანგარიშის ფორმა, კერძოდ, დაემატა ველები, რომლითაც შესაძლებელია მიეთითოს და შეფასდეს გარე შეფასებების (აკრეტიდაციის/ავტორიზაციის) პროცესში მიღებული რეკომენდაციების საფუძელზე განხორციელებული ცვლილებები. ასევე, დაკვირვების საფუძველზე, პროცესების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაერთიანდა საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით შეფასების განხორციელების მიზნით შემუშვებული კურსდამთავრებულების კითხვარი და ა.შ. პროცესების ზოგადი დაკვირვებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა ახალი კითხვარის დამატების საჭიროება, გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს დაემატა ახალი კითხვარი, კერძოდ, ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროცესებში მონაწილეობით კმაყოფილების კითხვარი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზნების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით) შესული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნაროანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები

სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას, პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

2024-2025 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან, პირებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ გარკვეულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორცილებაც ვერ მოხდა მოკლე დროში, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. ანგარიშით განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები. რეაგირების ანგარიშებში ასევე წარმოდგენილია გამოვლენილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული საპასუხო მოსაზრებები და პოზიციები, თუკი რეაგირება არ ჩაითვალა საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

2024-2025 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

| გამოკითხვის ტიპი | გამოკითხვის ჩატარების პერიოდი | გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება | რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები | განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სამართლის, ჰუმანიტარულ და | 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების სათანადო | მიღებული შეფასებების საფუძველზე განხორციელდა კომუნიკაცია შესაბამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომლის მხრიდანაც გამოითქვა მზაობა ფაკულტეტთან სათანადოდ თანამშრომლობაზე. დამატებით აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მიერ დადასტურებულია | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) | | მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. საყურადღებო კომენტარი დაფიქსირდა მხოლოდ ერთ განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, მისი დატვირთულობიდან გამომდინარე ლექციების გაცდენის და სხვა დროს გადატანის შემთხვევების შესახებ. | ამასთანავე გაცდენილი საათების სრულად აღდგენა სასწავლო კურსის განმახორციელებელის მიერ. | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების სათანადო მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეფასებების დროულად ასახვის საკითხი ერთ-ერთი განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან. | სტუდენტების შეფასებების საფუძველზე შედგა ლექტორთან შეხვედრა, რა დროსაც მას დაწვრილებით განემარტა საკითხის მნიშვნელობა, ლექტორის მხრიდან გამოითქვა სათანადოდ თანამშრომლობის სრული მზაობა. ფაკულტეტი აგრძელებს როგორც ამ, ასევე, სხვა პერსონალთან დაკავშირებით შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვის მონიტორინგს. დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი. | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული | 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი თითოეული სასწავლო კურსის | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერსონალის შეფასება (სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი) | | ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. შეფასებების პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირდა გარკვეული საყურადღებო საკითხები რამდენიმე განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, უკუკავშირების გაზიარების ფორმების, ზოგადი კომუნიკაციის ფორმების, პუნქტუალურობის, შეფასების ფორმებისა და სალექციო პროცესის გამრავალფეროვნების შესახებ. | განმახორციელებლის შეფასება, რის შემდეგაც მათთან უკუკავშირის გაზიარების მიზნით ჩატარდა შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც პერსონალის მიერ გამოითქვა სათანადოდ თანამშრომლობის სრული მზაობა, შეხვედრების ფარგლებში ასევე დაიდენტიფიცირდა სამომავლოდ გასახორციელებელი შესაძლო აქტივობები, მაგალითად, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სავეტერინარო | 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების | ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა დეტალურად შეისწავლა მიღებული შეფასებები. ანალიზის შედეგად გამოკვეთილ საკითხებზე რეაგირება მოდა რამდენიმე მიმართულებით: | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მედიცინის ფაკულტეტი) | | მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. შეფასებების პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირდა გარკვეული საყურადღებო საკითხები რამდენიმე განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი დავალებების შემოტანის, საილუსტრაციო მასალის დამატების, სწავლების მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნების, თანაბარი სირთულის საგამოცდო ბილეთების, ლექტორის კომუნიკაციის სტილის, სასემინარო დროის მკაცრი კონტროლის (რათა სტუდენტებს მიეცეთ კუთვნილი შესვენებით სარგებლობის შესაძლებლობა), თეორიული მასალის პრაქტიკული მეცადინეობებითა და მულაჟების გამოყენებით გამდიდრების შესახებ. | 1. ლექტორის სააუდიტორო მუშაობის შეფასება და შესაბამისი უკუკავშირების, როგორც დადებითი, ისე რჩევების გაზიარება სტუდენტზე ორიენტირებული ინტერაქციის გაძლიერების შესახებ, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, რაც გააძლიერებს სტუდენტთა მომზადებასა და მათ პრაქტიკულ უნარებს.<br>2. ლექტორთან ინდივიდუალური შეხვედრა და გასაუბრება, მაგალითად პრაქტიკული დავალებების დამატების, პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფის, სასწავლო განრიგისა და შესვენებების დროის მეტად დაცვის, სწავლების უფრო ინტერაქციული მეთოდების გამოყენების, თითოეული სტუდენტისთვის მულაჟებთან მუშაობის დროის ოპტიმიზაციის შესახებ.<br>3. საგამოცდო საკითხების ბანკის რევიზია, რაც უზრუნველყოფს სემინარებსა და საგამოცდო გარემოში ერთიანი მიდგომის არსებობასა და საგამოცდო მასალის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან ზუსტ შესაბამისობას.<br>გარდა ამისა, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი) | 2024-2025 წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების სიღმისეული ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, პროფესიონალიზმის, სწავლების სათანადო მეთოდების გამოყენებისა და სწორი კომუნიკაციის შესახებ. შეფასებების პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირდა გარკვეული საყურადღებო საკითხები რამდენიმე განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, ლექტორის სწავლების მეთოდების, მასალის ახსნის (ლექტორი არ იყენებდა პრეზენტაციებს), კომუნიკაციის უნარების, შეფასების, სასწავლო კურსისთვის მასალის დასაფარად | რეაგირების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელისა და დეკანის მიერ მოხდა შესაბამის პერსონალთან გასაუბრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მოხდა სტუდენტების მიერ კითხვარში დაფიქსირებული კომენტარების მათთვის გაცნობა და მათთან ერთად განხილვა.<br><br>აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ვერ მოხდა ლექტორების მიერ მოსაზრებების გაზიარება, მაგალითად, სასწავლო კურსის მასალისა და მოცულობის გათვალისწინებით არ ჩაითვალა მიზანშეწონილად შემოთავაზებული სასწავლო კურსების ხანგრძლივობის, პროგრამით გათვალისწინებული კურაციის დღეების რაოდენობის გაზრდა. ან მაგალითად, ლექტორების მხრიდან აღინიშნა მხოლოდ 1-2 სტუდენტის მიერ დაბალ ქულაზე შეფასების ვალიდურობის საკითხი, მითუმეტეს, როცა შეფასება არ არის კომენტარებით გამყარებული ან როცა კომენტარში აღნიშნულია ლექტორის სიმკაცრე და არაობიექტური შეფასება, რაც | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დათმობილი არასაკმარისი დროის, ლექტორის სიმკაცრის, მასალიდან გამომდინარე კონკრეტული კურაციისთვის მეტი დროის დათმობის, დროის მენეჯმენეტის (მასალის ახსნის დროულად დასრულების), შეფასებების დროულად ატვირთვის, საგამოცდო საკითხების სირთულის, უკუკავშირის გაზირების მეთოდების, სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობის შესახებ. | სავარაუდოდ მიუთითებს რომ სწორედ იმ სტუდენტების მიერ ხდება შეფასება, რომლებსაც გაუჭირდათ სასწავლო კურსის დაძლევა ან ჩაიჭრნენ ამ კონკრეტულ სასწავლო კურსში.<br><br>რიგ შემთხვევებში და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ლექტორების მიერ გამოითქვა სათანადოდ თანამშრომლობის მზაობა, მაგალითად, მასალის პრეზენტაციის გამოყენებით ახსნასთან, შეფასებების დროულად ატვირთვასთან, სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობასთან, დროის მენეჯმენტთან, უკუკავშირების სათანადოდ გაზიარებასთან, სასწავლო პროცესის მეტად ინტერაქტიულად წარმართვასთან დაკავშირებით.<br><br>დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი.<br><br>რეაგირების ნაწილში აღსანიშნავია ასევე, რომ ფაკულტეტის მხრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა სააუდიტორო მუშაობის შეფასება და შესაბამისი უკუკავშირების, როგორც დადებითი, ისე რჩევების გაზიარება.<br><br>გარდა ამისა, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სტომატოლოგიის ფაკულტეტი) | 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. შეფასებების პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირდა გარკვეული საყურადღებო საკითხები რამდენიმე განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, სწავლისა და შეფასების მეთოდების, დასკვნითი გამოცდის კითხვების სირთულის, სასწავლო | თითოეულ ლექტორთან დაინიშნა ინდივიდუალური გასაუბრება ონლიან და ადგილზე. გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და დეკანის მოადგილემ. მოხდა სტუდენტების კომენტარების კიდევ ერთხელ გაცნობა ლექტორებისთვის.<br><br>აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ვერ მოხდა ლექტორების მიერ მოსაზრებების გაზიარება, მაგალითად, დასკვნითი გამოცდის კითხვების სირთულესთან, სასწავლო კურსის ორგანიზებასთან დაკავშირებით, აღინიშნა სტუდენტების მიერ განხორციელებული შეფასების ობიექტურობის საკითხი, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ლექტორებმა გამოთქვეს | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კურსის ორგანიზების, მეცადინეობების გაუქმების, ლექტორთან კომუნიკაციის შესახებ. | სრული მზაობა სტუდენტების კომენტარებთან დაკავშირებით მოხდეს ყურადღების მეტად გამახვილება, მათ მიერ გამოითქვა სათანადოდ თანამშრომლობის სრული მზაობა.<br><br>ამასთანავე, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სტომატოლოგიის ფაკულტეტი) | 2024-2025 წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა მეტწილად დადებითი შეფასებები ლექტორების ცოდნის, კომპეტენციების, გამოცდილების, სწავლების მეთოდების გამოყენებისა და კომუნიკაციის შესახებ. შეფასებების პროცესში სტუდენტების მიერ | შეფასების შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი რეაგირებები: ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინდივიდუალური შეხვედრები.<br><br>აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ვერ მოხდა ლექტორების მიერ მოსაზრებების გაზიარება, მაგალითად, მასალების დიდ მოცულობასთან, | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაფიქსირდა გარკვეული საყურადღებო საკითხები რამდენიმე განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, სწავლების მიდგომების, შეფასების მეთოდების, სასწავლო კურსით სტუდენტების მეტად დაინტერესების, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეფასებების დროულად ასახვის, მასალების დიდი მოცულობის, სტუდენტების ჩართულობისა და დისკუსიების მეტად წახალისების, სწავლების პროცესში პრაქტიკული მაგალითების დამატების, დროის უკეთ მართვის, სიმკაცრის, უკუკავშირის გაზიარების, სტუდენტებთან კმუნიკაციის შესახებ. | სიმკაცრესთან, დაკავშირებით, აღინიშნა სტუდენტების მიერ განხორციელებული შეფასების ობიექტურობის საკითხი, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ლექტორებმა გამოთქვეს სრული მზაობა სტუდენტების კომენტარებთან დაკავშირებით მოხდეს ყურადღების მეტად გამახვილება, მათ მიერ გამოითქვა სათანადოდ თანამშრომლობის სრული მზაობა, მაგალითად, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეფასებების დროულად ასახვიასთან, სტუდენტების ჩართულობისა და დისკუსიების მეტად წახალისებასთან, სწავლების პროცესში პრაქტიკული მაგალითების დამატებასთან დაკავშირებით.<br><br>ამასთანავე, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | შეფასებების შედეგად შემუშვდა რეკომენდაციები მხოლოდ ორ შემთხვევაში, ლექციის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტების მეტად ჩართულობის უზრუნველოფასა და ხელშწყობასთან დაკავშირებით. | შესაბამის პერსონალთან ინდივიდუალი უკუკავშირის გაზიარებასთან ერთად მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი |
| სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | შეფასებების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები მხოლოდ ერთ შემთხვევაში, პრაქტიკაზე მეტად ორიენტირებულ სწავლებასთან, შემთხვევების განხილვის, სიმულაციების, რეალური პრაქტიკული მაგალითების მეტად გამოყენებასთან დაკავშირებით, და | შესაბამის პერსონალთან ინდივიდუალი უკუკავშირის გაზიარებასთან ერთად მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უკუკავშირების გაზიარებასთან დაკავშირებით. | მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა. | |
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | შეფასებების შედეგებად ერთ-ერთმა სტუდენტმა დააფიქსირა კომენტარი ლექტორის მიერ დაგვიანებასთან, ერთ-შემთხვევაში გაცდენასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ შემთხვევაში ასევე აღინიშნა ლექტორთან კომუნიკაციის და კლინიკური მანიპულაციის მეტად შესრულების საკითხი. | პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან მოხდა გასაუბრება შესაბამისი სასწავლო კურსის შესაბამის პერსონალთან, ხაზი გაესვა დასახელებული საკითხების მნიშვნელობას, რაზეც მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება, როგორც რეგულაური შეხვედრების ისე ელ. ფოსტების მეშვეობით. ასევე, აღინიშნა, გაცდენებისა და აღდგენების შესახებ ფაკულტეტის ინფორმირების მნიშვნელობა. კლინიკური სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრებზე მუდმივად ესმება ხაზი კლინიკური მანიპულაციების შესრულების შესაძლებლობის სტუდენტებისთვის მაქსიმალურად უზრუნველყოფის საკითხს, აღნიშნულ შევხედრაზეც მოხდა ამ საკითხზე შესაბამის პერსონალთან კომუნიკაცია.<br><br>დამატებით აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტის თანამშრომელი ყოველდღიურად ახდენს კლინიკებში ვიზიტს და საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტისთვის ინფორმაციის გაზიარებას | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | რეაგირებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით. | |
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | შეფასებების შედეგად ერთ-ერთმა სტუდენტმა დააფიქსირა კომენტარი ერთ-ერთ კლინიკაში სასწავლო სირცესთან დაკავშირებით. | რეაგირების მიზნით მოხდა შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორთან გასაუბრება, რის შედეგადაც გაირკვა, რომ კლინიკაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რის გამოც უწევდათ მინუს სართულზე არსებული ოთახების გამოყენება სწავლებისათვის, რაც მოცემულ მომენტში მოგვარებულია.<br><br>დამატებით აღსანიშნავია, რომ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად სალექციო პროცესის მიზნებისათვის აღჭურვილი სასწავლო სივრცეების უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხების მონიტორინგის მიზნით კი უნივერსიტეტის თანამშრომელი ყოველდღიურად ახდენს კლინიკებში ვიზიტს და საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტისთვის ინფორმაციის გაზიარებას რეაგირების მიზნით. | მედიცინის ფაკულტეტი |
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (სტომატოლოგიის ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა მეტი პრაქტიკული მუშაობის სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ასახელებენ კონკრეტულ მანიპულაციებს, რასაც ისინი ატარებენ პრაქტიკის მიმდინარეობისას რეალურ პაციენტებზე. | სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან შეხვედრაზე, კლინიკური სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს კიდევ ერთხელ მიეწოდა ინფორმაცია კურაციის პერიოდში სტუდენტების პაციენტთან მუშაობის შესაძლებლობების გაზრდის მნიშვნელობაზე. ასევე, ლექტორებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში სტუდენტის პაციენტი იხდის | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მკურნალობის საფასურის მხოლოდ 30%-ს.<br><br>ამასთანავე, სტომატოლოგიის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ  ამჟამად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკის „ეუდენტის“ გაფართოების სამუშაოები, რაც მეტ საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაატარონ მკურნალობა. კლინიკის გაფართოების სამუშაოები დასრულდება 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოსთვის და სტომატოლოგიის კლინიკური სასწავლო კურსების უმრავლესობა განხორციელდება საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე. | |
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (სტომატოლოგიის ფაკულტეტი) | 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | შეფასებების შედეგად დაფიქსირდა კომენტარი კლინიკაში სასწავლო სირცესთან დაკავშირებით. | სტომატოლოგიის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ  ამჟამად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკის „ეუდენტის“ გაფართოების სამუშაოები, რაც მეტ საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაატარონ მკურნალობა. კლინიკის გაფართოების სამუშაოები დასრულდება 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოსთვის და სტომატოლოგიის კლინიკური სასწავლო კურსების უმრავლესობა განხორციელდება საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე. | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |
| სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი | 2024-2025 აკადემიური წელი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნერებათა ფაკულტეტზე ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად განმახორციელებელი პერსონალი | აღნიშნული მიმართულებით საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახური ფაკულტეტებთან თანამშრომლობით არაერთ ღონისძიებას ახორციელებს, მათ შორისაა: | საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა | | სტუდენტთა ნაკლებობას მიიჩნევს. მათი აზრით, საჭიროა დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რათა მოხდეს სტუდენტების მეტი რაოდენობის მოზიდვა. | საიმიჯო ვიდეო-რგოლების მომზადება, თუ რა გამოარჩევს ევროპის უნივერსიტეტის თითოეულ პროგრამას სხვებისგან. ვიდეო-რგოლი ინფორმატიულია და თითეული დეკანი დეტალურად საუბრობს პროგრამების ძლიერ მხარეებზე, ასევე, ვიზუალურადაც ათვალიერებინებს პოტენციურ სტუდენტს საუნივერსიტეტო გარემოს. აღსანიშნავია, რომ ვიდეო-რგოლს 33 K ნახვა აქვს “Facebook” პლატფორმაზე, ხოლო 45.7 K ნახვა აქვს „Instagram” პლატფრმაზე.<br><br>ასევე, მომზადდა ვიდეო-რგოლი, რომელშიც სამართლის საბაკალავრო სტუდენტის მიერ ხდება საკუთარი გამოცდილების გაზიარება პოტენციური სტუდენტებისათვის. სტუდენტი საუბრობს სამართლებრივი დახმარების ცენტრზე, ასევე, სამართლის კვლევით ცენტრში გავლილ პრაქტიკაზე. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რადგან უშუალოდ სტუდენტის მხრიდან საკუთარი გამოცდილების გაზიარება უფრო საინტერესოსა და სანდოს ხდის აბიტურიენტებისათვის არჩევანის ევროპის უნივერსიტეტზე შეჩერებას.<br><br>ჩატარდა ღია კარის დღეები, რომლის ფარგლებშიც აბიტურიენტები ხვდებიან რექტორს, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს და ა.შ მაგალითად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ღია კარის დღის ფარგლებში აბიტურიენტებისთვის ლევან მესხორაძის საჯარო ლექცია თემაზე - „ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პასუხი რუსეთის მიერ საქართველოსა და | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე“ – გაიმართა. ღია კარის დღეზე აბიტურიენტები გაეცნენ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის პროგრამას, იურისტის პროფესიის მნიშვნელობას, დაათვალიერეს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, ზურაბ ჟვანიას სახელობის იმიტირებული დარბაზი და უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი. ასევე, დაესწრნენ საჯარო ლექციას, სადაც დეტალურად განიხილეს რუსეთ-საქართველოს საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში მიმდინარე მოვლენები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საჯარო ლექციას ესწრებოდნენ, როგორც აბიტურიენტები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები. ღია კარის დღეს სამართლის დოქტორი, პროფესორი თათია დოლიძე, ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტი ლევან მესხორაძე და ფაკულტეტის დეკანი უძღვებოდნენ.<br><br>გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტებისათვის გაკეთებული შეთავაზებები: პირველ პრიორიტეტად არჩევის შემთხვევაში უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების 100% იანი დაფინანსება, მაგალითად, 2025-2026 აკადემიურ წელს ასეთი იყო არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. | |
| სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განმახორციელებე | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების პროცესში ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, სამუშაო სივრცის არსებობის საკითხი. | აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით | შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | | | უნივერსიტეტში გამოყოფილია პერსონალის სამუშაო სივრცე (საპროფესორო), ევროპის უნივერსიტეტი, დ. გურამიშვილის გამზირი №76, მე-4 სართული, ოთახი 410. ასევე, პერსონალის სამუშაო სივრცის მოწყობა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარედ მშენებარე ახალ კორპუსში. გარდა ამისა აღსანიშნავია სათანადოდ აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცის გამოყენების შესაძლებლობაც პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ. მოხდა აღნიშნულის შესახებ პერსონალის კიდევ ერთხელ ინფორმირება. | |
| სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციებში დაფიქსირდა კომენტარი, რომ საინფორმაციო ბაზის ინოვაციურობის შესანარჩუნებლად სასურველია ახალი ლიტერატურის რეგულარული მოძიება და დამატება. | ახალი ლიტერატურის მოძიებისა და შესყიდვის საკითხი მუდმივი პროცესია: აღსანიშანვია, რომ 2025 წელს ვეტერინარიის ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში მოხდა 250 ერთეულზე მეტი სხელმძღვანელოს შეძენა, რაც ჯამში შეადგენს 86 810 ლარზე მეტს.<br><br>რაც შეეხება ქართულენოვან გამოცემებს, ამ დარგის ლიტერატურა არ თუ ისე ხშირად გამოიცემა, ხოლო სიახლე, ფაკულტეტის აქტიური ჩართულობით, მუდმივად ემატება საბიბლიოთეკო ფონდს. 2025 წელს საბიბლიოთეკო ფონდს დაემატა ახალი გამოცემის (მათ შორის უახლესი, 2025 წლის გამოცემის) არაერთი სახელმძღვანელო, სულ, 23 ეგზემლიარი, მაგალითად, 2025 წლის გამოცემა - „ნადირთმცოდნეობა“, 2025 წლის გამოცემა - „ვირუსული და პრიონული ზოონური | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | დაავადებები“, 2025 წლის გამოცემა „ბაქტერიოფაგი ვეტერინარიაში“ და ა.შ. | |
| სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესება. | რეაგირების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ხარისხი გასულ წელთან შედარებით გაორმაგებულია, ამასთან აღსანიშნავია, ორმ 2024-2025 აკადემიურ წელს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში შეცვლილია ინტერნეტის აპარატურა, დამატებულია WiFi-ს როუტერი და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები გადატანილია WiFi-დან ხაზის ინტერნეტზე - ქსელის კაბელზე, კომპიუტერები დაიქსელა ინტერნეტის კაბელებით, ინტერნეტის ტექნიკური რესურსის, სიჩქარის გაუმჯობესების მიზნით. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური |
| ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა კვლევითი დაფინანსების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებისა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საშუალებით, ასევე, აუცილებელია კვლევითი პროექტების მეტი ხელშეწყობა. | აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი რამდენიმე ღონისძიებას ახორციელებს და კვლავ გააგრძელებს მუშაობას:<br>1. უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევის დაფინანსების წესი, რომელიც წარმოადგენს კვლევის დაფინანსების შიდა ინსტრუმენტს, აღნიშნული წესი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ასევე ცენტრის ორგანიზებით პერსონალთან ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ხდება წესისა და კონკურსში მონაწილეობის პირობების გაცნობა; მსგავსი შინაარსის შეხვედრა იდენტიფიცირებული საჭიროების შესაბამისად ჩატარდა 2024-2025 = აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრშიც;<br>2. უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ორგანიზებით რეგულარულად ტარდება კონფერენციები სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების აქტუალურ თემებზე (მაგ. ყოველწლიური კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგია და ინოვაცია“);<br><br>3. პერსონალთან რეგულარულად ზიარდება ინფორმაცია სხვადასხვა საგრანტო შესაძლებლობის, გამოცხადებული კონკურსის, კონფერენციისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიების შესახებ, მაგალითად 2024-2025 აკადემიურ წელს ჯამში პერსონალთან გაზიარდა 90 ასეთი შეტყობინება; პარალელურად ცენტრი პერსონალს სთავაზობს საინფორმაციო შეხვედრებსა და კონსულტაციებს საგრანტო განაცხადის მომზადების მიზნით;<br><br>4. ცენტრი ასევე ხელს უწყობს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას, ყოველწლიურად ტარდება საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც იგეგმება აკადემიური წლის განმავლობაში ჩასატარებელი ტრენინგების თემატიკა. პერსონალის საჭიროებების კვლევა ჩატარდა 2024-2025 აკადემიურ წელსაც და გაზაფხულის სემესტრში შესაბამისად განხორციელდა პერსონალისთვის საინტერესო თემატიკასთან დაკავშირებული ტრენინგები: „კვლევითი აქტივობის დაგეგმვა და კოორდინირება“, „როგორ მოვამზადოთ წარმატებული საპროექტო განაცხადი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებისთვის“, „საპროექტო | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | განაცხადის წერა/ფონდების მოძიების სპეციფიკა“ და ა.შ. | |
| მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების პროცესში აღინიშნა გამოცდების ტექნიკური გამართვა იმ მხრივ, რომ საგამოცდო ბილეთების ბაზის შექმნის მიუხედავად, სტუდენტებს ან იგივე თემებიდან მისდით საწერი კითხვები, ან უმეორდებათ.<br><br>შეფასების შედეგად პერსონალის მიერ დაფიქსირდა საგამოცდო ცენტრის მხრიდან გამოცდის გასწორების შეხსენების გაზიარების სურვილი. აღინიშნა თხოვნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს და ლექტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტებმა დაწერეს განმეორებითი/აღდგენითი გამოცდა. | ვინაიდან მსგავსი საკითხი სტუდენტების მხრიდანაც იყო აღნიშნული, რეაგირების მიზნით, იმ სასაწავლო კურსებში, სადაც საგამოცდო ბორდი ამუშავებს ტესტებს, საკითხები იყოფა კვირების მიხედვით, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს თემატიკის გამეორებას<br><br>რეაგირების მიზნით, იმისათვის, რომ ლექტორებისთვის პროცესის მართვა უფრო მარტივი და ეფექტიანი იყოს, კერძოდ, ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ როდის ჩატარდა საგამოცდო პროცესი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ხედვის ფუნქცია ყველა სასწავლო კურსზე. აღნიშნულ ხედვაში ასახულია შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შესაბამისი გრაფები. აქედან გამომდინარე, ლექტორებისთვის ელექტრონული ფოსტის გაგზავნა აღარ წარმოადგენს სავალდებულო პრაქტიკას, თუმცა საგამოცდო ცენტრი კომუნიკაციას კვლავ უზრუნველყოფს მობილური ნომრების საშუალებით შეტყობინებების გაგზავნის გზით. | საგამოცდო ცენტრი |
| მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა პერსონალის ცნობიერების ამაღლების საჭიროება კვლევის დაფინანსებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესთან დაკავშირებით, შეფასების პროცესში | 2025 წლის 24 მარტს ევროპის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.<br>შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი და პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ასევე გამოითქვა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით პლაგიატის ამომცნობი სისტემის გამართვის და ქართულ ენაზე მოწესრიგების სურვილი. | შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. ამასთანავე, კონკურსების შესახებ ინფორმაციის გაზიარების პარალელურად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი პერსონალს სთავაზობს საკონსულტაციო/სამუშაო შეხვედრებს, რაც ემსახურება კონკურსის სპეციფიკის გაცნობას და საპროექტო განაცხადის სრულყოფას მისი კონკურსის პირობებთან შესაბამისობის მიზნით.<br><br>უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის ამომცნობ სისტემას Turnitin-ს, რომელსაც 2025 წლიდან დაემატა AI - ის მიერ გენერირებული ტექსტების ამომცნობი მექანიზმი, აღნიშნულთან დაკავშირებით 2025 წლის 14 აპრილს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „Moodle Direct, Plagiarism Plug in, AI detector". ტრენინგის მთავარი თემა ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი ტექსტების ამოცნობა და Turnitin-ის გენერირებული ანგარიშების სწორად ინტერპრეტაცია იყო. სესიას გაუძღვა Turnitin-ის საერთაშორისო კონსულტანტი – ჯერონ ვანდერბისენი, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა პლატფორმის ფუნქციონალი, AI-დეტექციის მექანიზმები და რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით აჩვენა ანგარიშის წაკითხვისა და ანალიზის პროცესი. ამასთანავე, მომზადდა გზამკვლევი, რომელიც ელ. ფოსტის საშუალებით გაზიარდა უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. აღნიშნულ მომსახურებას უნივერსიტეტი იღებს | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | აუთსორსინგის მეშვეობით, რომელიც ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე და უნივერსიტეტზე არ არის დამოკიდებული მისი ამოქმედება. | |
| მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების პროცესში ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, სამუშაო სივრცის არსებობის საკითხი.<br>ლექტორი კომენტარში აღნიშნავს, რომ აუდიტორიები ტექნიკურად სათანადოდ არის აღჭურვილი, თუმცა ზოგჯერ ხდება ლექციების ისეთ აუდიტორიაში განაწილება სადაც სტუდენტების რაოდენობა არაა გათვალისწინებული.<br>ერთ-ერთი რესპონდენტი კომენტარში მიუთითებს რომ საჭიროა ქირურგიის დეპარტამენტის შექმნა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში. | აღსანიშნავია, რომ დ. სარაჯიშვილის გამზირზე, #17 - ში მდებარე კორპუსში არსებობს საპროფესორო, რომლებსაც ლექტორები იყენებენ ბოლო რამდენიმე წელია. ამას გარდა, ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის მიმდიბარედ დამატებულ ახალ კორპუსში მე-5 სართულზე მოეწყო საპროფესორო სივრცე, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პრინტერით და სხვა საჭირო ინვენტარით. გარდა ამისა აღსანიშნავია სათანადოდ აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცის გამოყენების შესაძლებლობაც პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ. მოხდა აღნიშნულის შესახებ პერსონალის კიდევ ერთხელ ინფორმირება.<br>2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო განრიგის შედგენისას მაქსიმალურად მოხდა ლექტორების აღნიშნული მოსაზრების გთვალისწინება აუდიტორიების გადანაწილებისას.<br>ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი მუდმივად ფართოვდება და იმატებს ახალ მიმართულებებს, თუმცა აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლინიკის ადმინისტრაცია და მმართველი გუნდი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს უკვე დაემატა რამდენიმე | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მიმართულება და მათ შორის ქირურგიის დეპარტამენტი. | |
| მედიცინის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად რამდენიმე ლექტორი კომენტარში მიუთითებს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის მიმდებარედ არსებულ მედიცინის სასწავლო კორპუსის (გ. ჟვანიას ქ. #15) სველ წერტილებში საკიდების დამონტაჟების საჭიროებაზე, ასევე წლის დისპენსერებთან ერთჯერადი ჭიქების დროულად შევსებასა და პარკირების საკითხებზე.<br><br>ერთ-ერთმა ლექტორმა გამოთქვა სურვილი ყველა კორპუსში მუშაობდეს გათბობა-გაგრილების სისტემები სეზონის შესაბამისად. | ლექტორების მიერ მითითებული საკითხები სრულად მოწესრიგდა, საპირფარეშოებში დამონტაჟდა ტანსაცმლის საკიდები, ასევე ჰიგიენური საშუალებების კარადა, დიასახლისებზე გაიცა ინსტრუქცია სველ წერტილებში შესაბამისი მარაგის შევსებასა და მოწესრიგებაზე მუდმივი ზედამხედველობის შესახებ, ჯო ენის და ასევე მიმდებარედ არსებულ მედიცინის ფაკულტეტის ახალი კორპუსის გარე პერიმეტრზე დაემატა საპარკინგე ადგილები. იმ ლექტორებს, რომლებიც ჯო ენის კამპუსის პარკირებით სარგებლობენ ლექციების მიმდინარეობისას, შესაბამისი ბარათის ასაღებად შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტს.<br><br>აღსანიშნავია, რომ ყოველ სეზონზე ხდება გათბობა-გაგრილების სისტემის გადამოწმება და მოწესრიგება. რეაგირების მიზნით, მედიცინის ფაკულტეტის ერთ-ერთ კორპუსში (გ. ჟვანიას ქუჩა, #15) ზაფხულში მოხდა ახალი სისტემის დაყენება და მოწესრიგდა გაგრილება, კერძოდ მთლიანად შეიცვალა ჩილერის (გათბობა-გაგრილების) გარე ბლოკი და ასევე დამონტაჟდა ახალი შიდა ბლოკები. | ვიცე-რექტორი - შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების განვითარების მიმართულებით |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა პერსონალის ცნობიერების ამაღლების საჭიროება კვლევის დაფინანსების წესთან დაკავშირებით. | 2025 წლის 24 მარტს ევროპის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი და | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. | |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საკითხი, ასევე, მოწვეულმა პერსონალმა გამოთქვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შექმნის სურვილი.<br>შეფასების პროცესში პერსონალმა დააფიქირა სურვილი ყურადღება გამახვილდეს დაგვიანებით გამოცხადებული სტუდენტების დასწრების საკითხებზე. | მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს გამოცხადდა კონკურსი სტომატოლოგიის ფაკულტეტის პერსონალისათვის სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზნით, სწორედ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად.<br>ამასთანავე აღსანიშნავია „ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესში“ ცვლილება, რომლის თანახმადაც შეიქმნა შესაძლებლობა მოწვეულმა პერსონალმაც მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.<br>2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ფუნქცია, რომლითაც ლექტორს აქვს საშუალება მიუთითოს შესაბამისი აღნიშვნა და აღრიცხოს სტუდენტის გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები. | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |
| სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა<br>ბიზნესისა და ტექნოლოგიების სტუდენტების ზოგადი | 2024-2025 აკადემიური წელი | კვლევის შედეგად გამოიკვეთა დადებითი შეფასებები საბიბლიოთეკო რესურსებთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, თუმცა მცირედი პროცენტული მაჩვენებლით გამოიკვეთა გარკვეული საკითხებიც, კერძოდ, არსებული სივრცე | აღსანიშნავია, რომ დ. გურამიშვილის გამზირზე, #76-ში აშენდა ახალი კორპუსი სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტისთვის, შენობის პირველ სართულზე მოეწყო 120 სტუდენტზე გათვლილი ახალი ბიბლიოთეკა, 3 ჯგუფური მუშაობის და 3 ინდივიდუალური მუშაობის იზოლირებული სივრცეებით. ახალი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სამართლის, ჰუმანიტარულ | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა<br>სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | | მუშაობისთვის/ მეცადინეობისთვის, ბიბლიოთეკის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტის ხარისხი. | და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ყველა სტუდენტს. ბიბლიოთეკა აღიჭურვა სრულიად ახალი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, რაც სტუდენტებისთვის კომფორტულ და თანამედროვე სამუშაო გარემოს ქმნის. | |
| სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტების თხოვნა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეფასებების დროულად ასახვასთან დაკავშირებით. | აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებული შინაარსის გამაფრთხილებელი წერილი ელ. ფოსტის საშუალებით რამდენჯერმე ეგზავნება ლექტორებს სემესტრის მიმდინარეობისას და ამასთან, ქულების შეყვანის მონიტორინგი ხდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მხრიდანაც. საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოხდა კომუნიკაცია განმახორციელებელ პერსონალთან.<br>დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი. | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| ბიზნესისა და ტექნოლოგიების სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების შედეგად ერთ-ერთი სტუდენტი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინტერფეისი უფრო მოსახერხებელი და | რეაგირების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქცია „სასწავლო კურსების განრიგი“ და „გამოცდების განრიგი“, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ მოახლოებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მარტივად - დღეებისა და საათების მიხედვით. ამჟამად | სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | თანამედროვე ვიზუალის გახდეს.<br><br>რესპონდენტის თქმით, განრიგის შესამოწმებლად საჭიროა თითოეული სასწავლო კურსის ცალ-ცალკე გახსნა, ისურვებდა პროგრამაში ინტეგრირებულ კალენდარს, რომელიც აჩვენებს სასწავლო კურსს, დღეს, დროსა და აუდიტორიას. | სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ორივე ცხრილი, როგორც ძველი ვერსია, ასევე განახლებული, ერთიან ფორმატში.<br><br>ამასთანავე, სტუდენტთა თხოვნით, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მოხდა დიზაინის ცვლილება. | |
| მედიცნის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის პროცესში სტუდენტებმა ითხოვეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო განრიგის ერთიანად, ცალკე ცხრილად ჩვენება.<br><br>ასევე, სტუდენტებმა ითხოვეს შეფასების შედეგების დროულად ატვირთვა. | რეაგირების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქცია „გამოცდების განრიგი“, შედეგად სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ საგამოცდო განრიგის შესახებ ინფორმაცია მარტივად - დღეებისა და საათების მიხედვით. ამჟამად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ორივე ცხრილი, როგორც ძველი ვერსია, ასევე განახლებული ერთიან ფორმატში.<br><br>საგამოცდო ცენტრი ყოველთვის უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ატვირთვის ვადების შესახებ ლექტორებთან კომუნიკაციას, საკითხის შეხსენების, ვადების დაცვის მიზნით. რეაგირების მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში დამატებით ჩაშენდა გამოცდების განრიგის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად ლექტორები საგამცდო ცენტრთან დკავშირების გარეშე აკონტროლებენ გამოცდის შესრულების თარიღებსა და ნაშრომების გასწორების ვადებს.<br><br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი. | |
| მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | კვლევის შედეგად გამოიკვეთა დადებითი შეფასებები საბიბლიოთეკო რესურსებთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, თუმცა მცირედი პროცენტული მაჩვენებლით გამოიკვეთა გარკვეული საკითხებიც, კერძოდ, არსებული სივრცე მუშაობისთვის/ მეცადინეობისთვის, ბიბლიოთეკის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტის ხარისხი, ოთახის დაჯავშნის საკითხი, სტუდენტების მიერ ადგილის დაკავების საკითხი, მხატვრული, კლასგარეშე ლიტერატურის შეძენის საკითხი. | რეაგირების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს უნივერსიტეტში არსებულ საბიბლიოთეკო სივრცეებს დაემატა კიდევ ერთი, 150 ადგილზე გათვლილი ბიბლიოთეკა, რომელშიც ცალკე არის გამოყოფილი 6 ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის, ამასთან, ახალი ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურით და ციფრული რესურსებით (ანატომაჟის პლანშეტები, ახალი კომპიუტერები და ა.შ.), რაც სტუდენტებისთვის კომფორტულ და თანამედროვე სამუშაო გარემოს ქმნის.<br><br>უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში შეცვლილია ინტერნეტის აპარატურა, დამატებულია WiFi-ს როუტერი და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები გადატანილია WiFi-დან ხაზის ინტერნეტზე - ქსელის კაბელზე, კომპიუტერები დაიქსელა ინტერნეტის კაბელებით, ინტერნეტის ტექნიკური რესურსის, სიჩქარის გაუმჯობესების მიზნით.<br><br>მნიშვნელოვანი სიახლეა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საბიბლიოთეკო სივრცეში არსებული ჯგუფური მუშაობის ოთახების დაჯავშნის ფუნქციის ჩაშენება, ფუნქციის დამატების შესახებ ბიბლიოთკის | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პერსონალის მხრიდან შეიქმნა ინსტურქცია, რომელიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით იქნა გაზიარებული სტუდენტებისთვის.<br><br>სტუდენტების მხრიდან, ბიბლითეკაში ადგილების მხოლოდ ნივთებით დაკავების ფაქტების გამო, შემუშავდა მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მხრიდან დიდი ხნით დატოვებული ნივთების გადაადგილებას ბიბლიოთეკის მისაღებში. სტუდენტს, საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია ბიბლიოთეკის წარმომადგენლის მხრიდან საკუთარი ნივთების გადაადგილების პროცესი გააკონტროლოს ვიდეო ჩანაწერით, რისთვისაც მან უნდა მიმართოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს. ყოველივე აღნიშნულის შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში ელ. ფოსტის საშუალებით.<br><br>დამატებით აღსანიშნავია, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს ბიბლიოთეკას დაემატა მხატვრული და განმავითარებელი, ასევე ფსიქოლოგიური შინაარსის საკითხავი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, ქართველი და უცხოელი ავტორების ნაწარმოებები. | |
| მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასების შედეგად სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსების ცხილის ფორმა მოუხერხებელია, ასევე, სტუდენტებმა ითხოვეს საგამოცდო | რეაგირების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქცია „სასწავლო კურსის განრიგი“ და „გამოცდების განრიგი“, შესაბამისად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ მოახლოებული აქტივობების | სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განრიგის ცალკე ველში გამოტანა.<br><br>სტუდენტებმა ისურვეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დიზაინის ცვლილება<br><br>გამოკითხვის შედეგად სტუდენტმა ითხოვა სასწავლო კურსების არჩევის დროს, სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა | შესახებ ინფორმაცია მარტივად - დღეებისა და საათების მიხედვით. ამჟამად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ორივე ცხრილი, როგორც ძველი ვერსია, ასევე განახლებული, ერთიან ფორმატში.<br><br>სტუდენტთა თხოვნით, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მოხდა დიზაინის ცვლილება.<br><br>სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ტექნიკური ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, ფაკულტეტების მიერ ხდება სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციების ჩართვა სხვადასხვა პროგრამებზე განსხვავებულ დროს, რაც განტვირთავს სისტემას და ხდება შესაძლო ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილება. გარდა ამისა, დამატებითი რეაგირებისთვის გაძლიერდა არსებული სერვერი, 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის მსვლელობისას ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ტექნიკურ ხარვეზს. | |
| მედიცნის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის პროცესში სტუდენტმა გამოთქვა სტუდენტური ცხოვრების გახალისების მიზნით ქალაქგარეთ გასვლის, ექსკურსიების მოწყობის სურვილი.<br><br>სტუდენტმა ითხოვა ფრენბურთის გუნდის დამატების, სხვადასხვა ეროვნული მუსიკალური გუნდების დამატების სურვილი. | რეაგირების მიზნით, 2025-2026 აკადემიურ წელს ჩატარდა ორი ექსკურსია კახეთის მიმართულებით, მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. სამომავლოდ კვლავ იგეგმება ექსკურსიები.<br><br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა გოგონათა ფრენბურთის გუნდი, რეაგირების მიზნით კი ბიჭების ფრენბურთის გუნდიც შეიქმნა. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მუსიკალური გუნდები, და ყველა სტუდენტს | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შეუძლია მათში გაწევრიანება, მათ შორის უცხოელ სტუდენტებს. მოხდა აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა კიდევ ერთხელ ინფორმირება. | |
| მედიცნის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | სტუდენტი გამოკითხვის შედეგად კომენტარის სახით მიუთითებს, რომ განვლილი სემესტრის საგნების მასალები მიზანშეწონილია ინახებოდეს მუდლის პლატფორმაზე, რომ სტუდენტს შეეძლოს მისი გამოყენება მომავალშიც, ნებისმიერი სასწავლო კურსის ფარგლებში.<br>სტუდენტი აღნიშნავს რომ ზოგ შემთხვევაში სემინარს ესწრება ბევრი სტუდენტი.<br>სტუდენტი კომენტარში აღნიშნავს, რომ საჯარო ლექციები ფსიქოლოგიის მიმართულებით წინა სემეტსრში ჩატარდა 2-ჯერ, ისეთ თემაზე, რომელიც არ იყო საინტერესო სტუდენტებისათვის.<br>სტუდენტი აღნიშნავს რომ ისურვებდა გაცვლითი პროგრამების შეთავაზებას.<br>სტუდენტი მიუთითებს რომ უნივერსიტეტში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარება, თუმცა საჭიროა | რეაგირების მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გასული აკადემიური წლის სასწავლო მასალების მუდლის პლატფორმაზე შენარჩუნებისა და სტუდენტის მიერ ნახვის ფუნქცია ჩართულია 2023-2024 აკადემიური წლიდან და ყველა სასწავლო კურსის მასალა ინახება მუდლის პლატფორმაზე, არქივში, რის შესახებაც კიდევე რთხელ მოხდა სტუდენტების ინფორმირება.<br>უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად სემინარულ მეცადინეობებზე სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 22, თუმცა ზოგ შემთხვევაში სტუდენტები მეცადინეობებს ესწრებიან არა თავიანთი ცხრილის შესაბამისად არამედ სხვა ჯგუფებში რაც იწვევს რაოდენობის ზრდას. ლექტორებთან გამართულ შეხვედრებზე ხაზი გაესვა აღნიშნულ საკითხს და ეთხოვათ მათ, რომ სტუდენტები დაეშვათ მეცადინეოებებზე მხოლოდ ცხრილის შესაბამისად.<br>2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაგეგმილია ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის საჯარო ლექციების ორგანიზება. სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების მიზნით გაგზავნილია სტუდენტებთან კითხვარი, სადაც საშუალება აქვთ მიუთითონ საინტერესო თემატიკა და ასევე სასურველი მომხსენებლი, რის მიხედვითაც დაიგეგმა შემდეგი საჯარო | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფსიქოლოგიური დახმარების სერვისიც.<br><br>სტუდენტი აღნიშნავს რომ ისურვებდა ვირტუალური ანატომიის  პროგრამა იყოს მეტ ოთახში.<br><br>სტუდენტი აღნიშნავს რომ სასურველია ჰქონდეთ USMLE და PLAB საგამოცდო შეკითხვები.<br><br>გამოკითხვის პროცესში ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს რომ ისურვებდა ჰქონდეს უფრო მეტი არჩევანი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის პროცესში. | ლექციების შინაარსი და თემატიკა.<br><br>მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ცხადდება გაცვლით პროგრამები ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, ასევე ერთკვირიანი პრაქტიკები პარტნიორ უნივერსიტეტებში. 2025-2026 აკადემირუი წლისათვის გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კლინიკურ პრაქტიკებში საზღვარგარეთ, მიმდინარე აკადემიური წლიდან მსგავსი პრაქტიკის გავლას შეძლებენ ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებიც.<br><br>ფსიქოლოგის მომსახურებისა და მხარდაჭერის, ფსიქოლოგთან ვიზიტის დაგეგმვის სისტემა ჩაშენდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და სტუდენტებს შეუძლიათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია დაგეგმონ ანონიმურად, აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიმართონ საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის მომსახურებას.<br><br>2025-2026 აკადემიური წლისათვის მედიცინის ფაკულტეტზე შეძენილი იქნა დამატებით 2 ანატომაჟი და 8 ანატომაჟის პლანშეტი სტუდენტებისათვის (პლანშეტები განთავსდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეში). ასევე შეძენილია ვირტუალური ანატომიის კომპიუტერული პროგრამა რომელსაც ლექტორები იყენებენ ანატომიის ლექციისას.<br><br>USMLE და PLAB გამოცდების სავარჯიშო ტესტების მოძიება | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შესაძლებელია ონლაინ, ხოლო სტუდენტებისათვის უნივერსიტეტმა შეიძინა სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებიც განკუთვნილია USMLE -ის გამოცდების მოსამზადებლად. სახელმძღანელოები განთავსდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.<br><br>2025-2026 აკადემიური წლის დაწყებამდე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას დაემატა რამდენიმე არჩევითი სასწავლო კურსი, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიცინაში. | |
| მედიცნის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის პროცესში სტუდენტებმა ითხოვეს შემდეგი მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები: შიდა მოსასველებლ სივრცეში პუფების დამატება, თავად მოსასვენებელი სივრცეების დამატება, კონდიცირების სისტემის გამართვა, დაზიანებული სკამების ახლით ჩანაცვლება (ყურადღება გამახვილდა დ. სარაჯიშვილის გამზირზე, #17-ში არსებული კამპუსის მეხუთე სართულზე განთავსებულ სკამებზე), საპირფარეშოებში საკიდების დამაგრება კარებზე ან კედელზე, ჰიგიენური საშუალებების მუდმივად შევსება, | რეაგირების მიზნით სამუშაოები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:<br><br>სტუდენტებისათვის მოსასვენებელი სივრცეები დაემტა როგორც მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსებში ასევე ეზოში, დამატებით პუფები და სკამები განავსდა დერეფნებში, უნივერსიტეტის ახალ სასწავლო კორპუსში (გ. ჟვაინას #15) ასევე მოეწყო და დაემატა მოსასვენებელი სივრცეები სტუდენტებისათვის.<br><br>ზემოაღნიშნულ კორპუსში ზაფხულში მოხდა ახალი სისტემის დაყენება და მოწესრიგდა გაგრილება, კერძოდ მთლიანად შეიცვალა ჩილერის (გათბობა-გაგრილების) გარე ბლოკი და ასევე დამონტაჟდა ახალი შიდა ბლოკები. დ. სარაჯიშვილის გამზირზე, #17-ში არსებულ კორპუსში შეიცვალა დაზიანებული სკამები ახლით.<br><br>დიასახლისებზე გაიცა ინსტრუქცია სველ წერტილებში შესაბამისი მარაგის შევსებასა და მოწესრიგებაზე მუდმივი | ვიცე-რექტორი შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების განვითარების მიმართულებით |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ნივთების შესანახი ადგილების დამატება. | ზედამხედველობის შესახებ, დაემატა საკიდები სველ წერტილებში.<br><br>დამატებით გაკეთდა ნივთების შესანახი სათავსოები. | |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | კვლევის შედეგად გამოიკვეთა დადებითი შეფასებები საბიბლიოთეკო რესურსებთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, თუმცა მცირედი პროცენტული მაჩვენებლით გამოიკვეთა გარკვეული საკითხებიც, კერძოდ, არსებული სივრცე მუშაობისთვის/ მეცადინეობისთვის, ბიბლიოთეკის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტის ხარისხი. | რეაგირების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს უნივერსიტეტში არსებულ საბიბლიოთეკო სივრცეებს დაემატა კიდევ ერთი, 150 ადგილზე გათვლილი ბიბლიოთეკა, რომელშიც ცალკე არის გამოყოფილი 6 ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის, ამასთან, ახალი ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურით და ციფრული რესურსებით (ანატომაჟის პლანშეტები, ახალი კომპიუტერები და ა.შ.), რაც სტუდენტებისთვის კომფორტულ და თანამედროვე სამუშაო გარემოს ქმნის.<br><br>უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში შეცვლილია ინტერნეტის აპარატურა, დამატებულია WiFi-ს როუტერი და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები გადატანილია WiFi-დან ხაზის ინტერნეტზე - ქსელის კაბელზე, კომპიუტერები დაიქსელა ინტერნეტის კაბელებით, ინტერნეტის ტექნიკური რესურსის, სიჩქარის გაუმჯობესების მიზნით. | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უმეტეს შემთხვევაში დიდ დროს მოითხოვს ინტერნეტთან კავშირის დამყარება ბიბლიოთეკაში | დ. სარაჯიშვილის გამზირზე, #17-ში არსებული კორპუსის ბიბლიოთეკაში, სადაც ხორციელდება სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები, სრულადაა შეცვლილი და გაძლიერებული კომპიუტერები.<br><br>ამასთანავე, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში შეცვლილია ინტერნეტის აპარატურა, დამატებულია WiFi-ს როუტერი და ბიბლიოთეკაში | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | არსებული კომპიუტერები გადატანილია WiFi-დან ხაზის ინტერნეტზე - ქსელის კაბელზე, კომპიუტერები დაიქსელა ინტერნეტის კაბელებით, ინტერნეტის ტექნიკური რესურსის, სიჩქარის გაუმჯობესების მიზნით. | |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეტად გამართულობა აკადემიური რეგისტრაციის დროს.<br>სტუდენტებმა ითხოვეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სასწავლო განრიგის სრულად ასახვა, კერძოდ იმ ფუნქციის დამატება, რომელიც მიუთითებს თუ რა სასწავლო კურსებია მიმდინარე დღეს, განრიგი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ოთახის ნომრებისა და დროის შესახებ. | სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ტექნიკური ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, ფაკულტეტების მიერ ხდება სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციების ჩართვა სხვადასხვა პროგრამებზე განსხვავებულ დროს, რაც განტვირთავს სისტემას და ხდება შესაძლო ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილება. გარდა ამისა, დამატებითი რეაგირებისთვის გაძლიერდა არსებული სერვერი, 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის მსვლელობისას ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ტექნიკურ ხარვეზს.<br>ამასთანავე, რეაგირების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქცია „სასწავლო კურსის განრიგი“ და „გამოცდების განრიგი“, შესაბამისად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ მოახლოებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მარტივად - დღეებისა და საათების მიხედვით. ამჟამად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ორივე ცხრილი, როგორც ძველი ვერსია, ასევე განახლებული, ერთიან ფორმატში. | სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი | 2024-2025 აკადემიური წელი | შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები | აღსანიშნავია, რომ 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში | სტომატოლოგიის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა | | რეგირებისთვის: სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესება, სტუდენტების პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესება, ADHD-ის მქონე სტუდენტებზე მეტი ყურადღების მიქცევა, შესაბამისი აღჭურვილობის დამატება ქირურგიული სტომატოლოგიის სასწავლო კურსისთვის. | ამოქმედდა სასწავლო კურსებზე პრერეგისტრაციის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტისათვის პროგრამის მიხედვით საჭირო საგნების ავტომატური შერჩევა, ხოლო სასურველი ჯგუფისა და ცხრილის შერჩევის შესაძლებლობა სტუდენტებს მოგვიანებით აქვთ აკადემიური რეგისტრაციის ეტაპზე.<br><br>პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესებასთან კადავშირებით აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკის „ეუდენტის“ გაფართოების სამუშაოები, რაც მეტ საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაერთონ პრაქტიკულ მუშაობაში. კლინიკის გაფართოების სამუშაოები დასრულდება 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოსთვის და სტომატოლოგიის კლინიკური სასწავლო კურსების უმრავლესობა განხორციელდება საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე.<br><br>ფსიქოლოგის მომსახურებისა და მხარდაჭერის, ფსიქოლოგთან ვიზიტის დაგეგმვის სისტემა ჩაშენდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და სტუდენტებს შეუძლიათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია დაგეგმონ ანონიმურად, აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიმართონ საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის მომსახურებას.<br><br>აღჭურვილობასთან დაკავშირებული კომენტარის საპასუხოდ აღსანიშნავია, რომ ყოველსემესტრულად ხდება | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სასწავლო აღჭურვილობისა და ფანტომების გაახლება. გამოუსადეგარი ფანტომებისა და ინსტრუმნეტების ჩამოწერა და მათი ჩანაცვლება ახლებით. ასევე პედაგოგის მოთხოვნით დამატებითი ინსტრუმენტების შეძენა. აღნიშნული მიმართულებით სამუშაოები განხორციელდა შემდეგი აკადემიური სემესტრის დაგეგმვის ეტაპზეც, მათ შორის დასახელებული აღწურვილობის მიმართულებითაც. | |
| სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის პროცესში სტუდენტებმა ითხოვეს თითოეულ სართულზე განთავსდეს მეტი წყლის ერთჯერადი ჭიქები.<br>სტუდენტებმა ითხოვეს ნივთების შესანახი კარადების დერეფანში დამატება. | დიასახლისებზე გაიცა ინსტრუქცია სველ წერტილებში შესაბამისი მარაგის შევსებასა და მოწესრიგებაზე მუდმივი ზედამხედველობის შესახებ.<br>უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში დაემატა ნივთების შესანახი კარადები. | ვიცე - რექტორი შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების განვითარების მიმართულებით |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებუ ლი შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესები დახვეწის მიმართულებით დასახელდა შემდეგი საკითხი: დამკვირვებლების მიერ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებლების თანხლებით საპირფარეშოში გასვლის ან წყლის შემოსატანადად გასვლის შესაძლებლობა.<br>სტუდენტებმა გამოკითხვის შედეგად ხაზი გაუსვეს საგამოცდო მოდულში ატვირთული დამატებითი მასალის | აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი საკითხების განხილვის მიზნით საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარდა შეხვედრა სტუდენტებთან, რომელსაც ესწრებოდნენ ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერები. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებს განემარტა სხვადასხვა მნიშვნელოვანი დეტალი, მათ შორის, დასახელებულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები, სტუდენტებს ერთხოვათ, რომ მოახერხონ პირადი საჭიროებების გამოცდამდე მოგვარება, რათა თავიდან იქნას არიდებული ხმაური და ქაოსი საგამოცდო პროცესის | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (მაგ. კოდექსების) გამოყენების სირთულეს, კერძოდ, ვრცელი დოკუმენტების შემთხვევაში მასალის მოსაძიებლად დიდი დროის დახარჯვა. | მიმდინარეობისას. იმ უკიდურეს შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ მოაგვარა საგამოცდო პროცესის დაწყებამდე აღნიშნული საკითხები, მათ განემარტათ, რომ საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლების თანხლებით მოხდება სტუდენტთა მხარდაჭერა.<br><br>სტუდენტების მიერ დაფიქსირებული ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საგამოცდო მოდულში დამტაბითი მასალები აიტვირთა PDF ფორმატში JPG ფორმატის ნაცვლად, რამაც გაამარტივა და მნიშვნელოვნად დაზოგა დიდი მოცულობის დოკუმენტში კონკრეტული საკითხის მოძიებისთვის საჭირო დრო. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | შეხვედრების პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი გვიან ტვირთავს შეფასებებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. | აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები რეგულარულად ახდენენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ქულების ასახვის საკითხის შეფასებას და აქვთ მუდმივი კომუნიკაცია პერსონალთან საჭიროების შესაბამისად, ასევე, მათთან იგზავნება შესაბამისი შემახსენებელი ელ. წერილებიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად ხდება ყურადღების გამახვილება ყოველი სემესტრის დასაწყისში პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზე. საკითხზე ყურადღება გამახვილდა მიმდინარე აკადემიური სემესტრის საინფორმაციო შეხვედრებზეც.<br><br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად გამოითქვა სასწავლო კურსების განრიგის დახვეწის საკითხი, რაც უფრო კონკრეტულად უკავშირდებოდა სასწავლო კურსების ორ სხვადასხვა კორპუსში (დ. გურამიშვილის გამზირი #76 და დ. სარაჯიშვილის გამზირი #17) განხორციელების საკითხს, შესაბამისი მატერიალური რესურსების (ლაბორატორიების) სხვადასხვა კორპუსში განთავსების გამო.<br><br>შეხვედრების პროცესში სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი გვიან ტვირთავს შეფასებებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. | სასწავლო კურსების ორ სხვადასხვა კორპუსში ჩატარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ერთ ცალკე კორპუსში განხორციელების შესახებ. მიმდინარეობს აღნიშნული კორპუსის მშენებლობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარედ. კორპუსი სრულად იქნება აღჭურვილი აღნიშნული პროგრამის განხრციელებისთვის საჭირო ყველანაირი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, ლაბორატორიებით, სმულაციური ოთახითა თუ სხვა სასწავლო კაბინეტებით. შესაბამისად, სტუდენტების სურვილი სასწავლო კურსების ერთ ლოკაციაზე ჩატარებასთან დაკავშირებით შესაძლებელია გათვალისწინებულად ჩაითვალოს.<br><br>აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები რეგულარულად ახდენენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ქულების ასახვის საკითხის შეფასებას და აქვთ მუდმივი კომუნიკაცია პერსონალთან საჭიროების შესაბამისად, ასევე, მათთან იგზავნება შესაბამისი შემახსენებელი ელ. წერილებიც. | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად ხდება ყურადღების გამახვილება ყოველი სემესტრის დასაწყისში პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზე. საკითხზე ყურადღება გამახვილდა მიმდინარე აკადემიური სემესტრის საინფორმაციო შეხვედრებზეც.<br><br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება და შესაბამისად, დაიწყო გამოცდების სრულად ელექტრონულად ჩატარების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და შესაბამისად დააჩქარა შეფასებების სასწავლო ბაზაში ასახვის პროცესი. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | შეხვედრების დროს სტუდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება საგამოცდო პერიოდის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად, დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დროის 2 კვირიდან 3 კვირამდე გაზრდასთან დაკავშირებით. | სტუდენტების მოსაზრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასახელებული ცვლილება განხორციელდა სწორედ სტუდეტნთა უმრავლესობის მოსაზრების, შემოთავაზებისა და სურვილის საფუძველზე, კერძოდ, შუალედური გამოცდების დასრულების შემდეგ, რექტორის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორისა და საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლების ჩართულობით გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე დაფიქსირდა სტუდენტთა დიდი ნაწილის მოსაზრება, რეკომენდაცია და სურვილი დასკვნითი გამოცდებისთვის მეტი დროის დათმობასთან დაკავშირებით, რათა თითოეულ | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სასწავლო კურსში ჩანიშნულ დასკვნით გამოცდებს შორის განსაზღვრულიყო უფრო გონივრული შუალედი, სტუდენტების სათანადოდ მომზადებისთვის, რისი გათვალისწინებაც მოხდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | შეხვედრების შედეგად სტუდენტების მიერ დაფიქსირდა სურვილი ერთ-ერთი სასწავლო კურსის ლექტორთან დაკავშირებით სასწავლო კურსის მეტად ინტერაქტიულად წარმართვის შესახებ.<br><br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში მნიშვნელოვანია მათი უფრო მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთვა, ასევე გამოითქვა მოსაზრება ერთ-ერთ სასწავლო კურსში ლიტერატურის განახლების შესახებ. | რეაგირების მიზნით ფაკულტეტის მენეჯმენტი შეხვდა და ესაუბრა შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს, აღსანიშნავია, რომ ლექტორების მხრიდან დაფიქსირდა დასახელებული საკითხების გათვალისწინებისა და სათანადოდ თანამშრომლობის სრული მზაობა. ამასთანავე, მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისთვის რეგულარულად ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები: ქეისებით და დილემებით სწავლება და ა.შ. პერსონალმა გამოთქვა შეთავაზებული ტრენინგებით სარგებლობის, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების სურვილი და მზაობა.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მეტად მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთვის შესახებ საკითხის განხილვის მიზნით ფაკულტეტის მენეჯმენტი შეხვდა და ესაუბრა | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განვითარების კომიტეტის წევრ ლექტორებს; შედეგად გამოვლინდა, რომ კომპიუტერული მეცნიერების ახალი საბაკალავრო პროგრამის შექმნის პროცესში უკვე გათვალისწინებული იქნა აღნიშნული და სხვა მსგავსი მოსაზრებები, რომელიც ეფუძნებოდა პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციებსა და საჭიროებების კვლევას, შესაბამისად, განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა მნიშვნელოვნად გამდიდრებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობებით, ამასთანავე, განახლებულია სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2024-2025 აკადემიური წელი | შეხვედრების შედეგად დაფიქსირდა სტუდენტების სურვილი საბიბლიოთეკო სივრცეში ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებასთან და ასევე, საბიბლიოთეკო სივრცის დამატებასთან დაკავშირებით. | რეაგირების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს უნივერსიტეტში არსებულ საბიბლიოთეკო სივრცეებს დაემატა კიდევ ერთი, 150 ადგილზე გათვლილი ბიბლიოთეკა, რომელშიც ცალკე არის გამოყოფილი 6 ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის, ამასთან, ახალი ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურით და ციფრული რესურსებით (ანატომაჟის პლანშეტები, ახალი კომპიუტერები და ა.შ.), რაც სტუდენტებისთვის კომფორტულ და თანამედროვე სამუშაო გარემოს ქმნის.<br><br>უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში შეცვლილია ინტერნეტის აპარატურა, დამატებულია WiFi-ს როუტერი და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები გადატანილია WiFi-დან ხაზის ინტერნეტზე - ქსელის კაბელზე, | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | კომპიუტერები დაიქსელა ინტერნეტის კაბელებით, ინტერნეტის ტექნიკური რესურსის, სიჩქარის გაუმჯობესების მიზნით. | |
